


1309
2003 55/6

საგარეო აღმოსავლეთის მდიარე

45



**მონატჩება
ნოდარ ღუმბაძე**


**საზიარო ყვავი
გოდარძი როხელი**



**ვდასტიყუი ქიყიგია
სიღამაზის სანიღაი
ნუნუ კუკრიუვილი**



**ნაშთი ძველი დიდებისა
ლალი ანდრონიკაუვილი**




**ნიუოდემოსი, პოუტი -
უგუნუთა და
გაიძვეუთა გამო**




ჯიბრან სალილ ჯიბრანი

ჯანი-2003



ქართული
ცნობი





ს ა რ ჩ ე ვ ი :


ახალი ფურცელი საქართველოს ისტორიაში	2
დიდოსტატი კონსტანტინე	3
მოთხ ჭიდაძე ლექსები	4
ვასილ გვეტაძე ლექსი	5
ნენე ეუხეიშვილი	6
პლასტიკური ძირუბობა სილაგაზის სანიდარი	6
ღამახა გაგუა	9
ინტერვიუ ვახტანგ ჯაფარიძესთან	9
ვაჩა-ფშაველა	12
დიდი თაგარი	12
გოდუხიძე ჩოხელი	14
საზიარო ყვავი (მთხმობა)	14
ფოტო სტუმარი	16
ზურაბ ყიფშიძე	16
ნოდარ დუმბაძე	18
მონატრება (მთხმობა)	18
ღარი ანდრონიკაშვილი	22
ნაშთი ძველი დიდებისა	22
მანანა გიგინეიშვილი	24
თარგმანი	24
ხაღიშ თოხიძე	26
ვერნისაჟი	26
მაია გოგოხიშვილი	28
მარია კალასი	28
თახტმანი ნინო დგებუაძისა	30
კანი 2003	30



5



4



26

18



16



6



28



30

საქართველოს
კონსტანტინე
მარტოვილი
ბიბლიოთეკა

ახალი ფურცელი საქართველოს ისტორიაში

„დღეს ნავთობსადენის მშენებლობის დაწყებით უკვე დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველომ და მოლიანად კავკასიის რეგიონმა მოიპოვა გეოპოლიტიკური და ისტორიული ფუნქცია. იგი გადაიტყა აღმოსავლეთისა და დასავლეთის შემავრთებელ უმნიშვნელოვანეს რგოლად.“
ელუარდ შვეარდნაძე

„ბორჯომის წყალს არასოდეს ექნება ნავთობის გემო“ ხორცს ისხამს საუკუნის უდიდესი პროექტი. ასე ხატონად გააქარწყულა ის შიში და საყოველთაო მღელვარება, რაც საუკუნის ნავთობსადენის „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი“ ბორჯომის რაიონის ტერიტორიაზე გავლასთან იყო დაკავშირებული კომპანია „ბრიტიშ პეტროლიუმის“ მთავარმა აღმასრულებელმა დირექტორმა ლორდმა ჯონ ბრაუნმა.

მას თვით საქართველოს პრეზიდენტმა გადასცა ღირსების ორდენი.

„ამ ორდენს ვიღებ მთელი იმ გუნდის სახელით, რომელმაც უკვე საკმაოდ დიდი სამუშაო შეასრულა საქართველოში, - განაცხადა ლორდმა ჯონ ბრაუნმა საპატიო ჯილდოს მიღებისას, - ეს არის ძალიან დიდი პატივი ჩემთვის და ძალიან დიდი მოვლენა ჩემს ცხოვრებაში.“

აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრამდე „ბი-პის“ მთავარმა აღმასრულებელმა დირექტორმა ვერტმურენით შემოუფრინა და ყურადღებით დაათვალიერა მთელი გრასა. რომელმაც „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ ნავთობსადენმა უნდა გაიაროს. როგორც ჯონ

ბრაუნმა განაცხადა, განსაკუთრებული ყურადღებით მან ბორჯომის სიახლოვეს გამავალი მონაკვეთი შეისწავლა და ერთხელ კიდევ დარწმუნდა, იქ ეკოლოგიური უსაფრთხოების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები საკმაოდ საიმედოა და სრულ გარანტიას იძლევა იმისათვის, რომ ეს არაჩვეულებრივი მხარე სრულიად იქნება დაცული.

როგორც ჯონ ბრაუნმა განაცხადა, მასზე უდიდესი შთაბეჭდილება მოუხდენია სამუშაო პროცესის მიმდინარეობას. „ჩვენი ოცნება რეალიზაცია ხდება, - განაცხადა მან, - მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი იმისათვის, რათა 2004 წელს მივიღოთ პირველი ნავთობი ჯეიჰანში. 2006 წელს კი - პირველი გაზი შაჰ-დენიზიდან.“

საქართველოს პრეზიდენტმა ელუარდ შვეარდნაძემ სტუმრის ყურადღება მიაპყრო იმ სირთულეებს, რომლებიც ხვდებოდა პროექტს როგორც ქვეყნის გარედან, ისე შიგნიდან. „ჩვენი მთავარი საზრუნავი უსაფრთხოებასთან და ეკოლოგიასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება იყო. მოსახლეობა უნდა დარწმუნებულიყო, რომ ამ პროექტის განხორციელება სასიკეთოა როგორც ქვეყნისთვის, ისე თითოეული მოქალაქისთვის“.

სამეიშრო შეხვედრისას ელუარდ შვეარდნაძემ ერთხელ კიდევ ხაზგასმით დაადასტურა მადლიერება აზერბაიჯანისა და თურქეთის პრეზიდენტებისა და აშშ აღმინისტრაციისადმი და ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ „დღეს უკვე ამ პროექტს ვეღარაფერი შეაფერხებს“.

არანაკლებ მნიშვნელოვანია „ბი-პის“ პოზიცია მოსახლეობასთან ურთიერთობის საკითხებთან დაკავშირებით. აი, რა განაცხადა ამის შესახებ ბაგონმა ჯონ ბრაუნმა: „კომპანიისათვის ძალზე მნიშვნელოვანია სამუშაო ადგილების შექმნა, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია ხალხისთვის დახმარება. ოღონდ არა ერთჯერადი, არამედ დახმარების გრძელვადიანი პროგრამა, რომელიც ნაბიჯ-ნაბიჯ განხორციელდება, ხალხი დაინტერესებული უნდა იყოს ამ პროექტის წარმატებით და მხარს უნდა უჭერდეს მას...“ ჩვენ კარგად ვიცით ჩვენი როლი, მაგრამ მას ვერ შევასრულებდით, რომ არა საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის პრეზიდენტები და ხალხი.

შეხვედრის ბოლოს ლორდმა ჯონ ბრაუნმა დასძინა: „ბრიტიშ პეტროლიუმში“ ელუარდ შვეარდნაძეს არაფერს თხოვს ერთის გარდა - ბოლომდე უხელმძღვანელოს ამ დიდ საქმეს“

მამ, ასე, საუკუნის უდიდესი პროექტი, რომელიც თავისი ჩასახვის პროცესში მოგს აუსრულებელი ფანტაზია ეგონა, თანდათან ხორცს ისხამს, რომელიც მომავალში ბევრ პრობლემას სასიკეთოდ მოუგვარებს ჩვენს ქვეყანას.

„ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენისა და „სამხრეთ კავკასიური /შაჰ-დენიზი/ გამზადების“ პროექტების განვითარებაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისა და ამ პროექტების რეალიზაციისათვის გაწეული უმნიშვნელოვანესი ძალისხმევებისათვის საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით ღირსების ორდენით დაჯილდოვდნენ აზერბაიჯანის რესპუბლიკის ნავთობის სახელმწიფო კომპანიის პრეზიდენტი. „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ მილსადენის კომპანიის პრეზიდენტი დევიდ ვულვორდი და ამავე კომპანიის წარმომადგენელი მაიკლ თაუნსენდი.

სამეიშრო ცერემონიის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა მომავალი თაობებისადმი - „მემკვიდრეობის ესტაფეტა“, რომელსაც ხელი მოაწერეს ელუარდ შვეარდნაძემ, ნატიკ ალიევი და გიორგი ჭანგურიამ. ეს მიმართვა მილსადენის საძირკველში ჩადეს სპეციალური კაფსულით.

მამ, ასე, - საქართველოს უახლეს ისტორიაში ახალი ფურცელი ჩაიწერა.



ლილითსეპი ყონსეპანები



„მე მრავალი წოდვა მიმიძღვის ამქვეყნად, როგორც მეფეს, ისე როგორც კარს, თითქმის ყველა ღირსება და ყველა ნაკლი ჩემი ხალხისა მიჭარებია, ვაჟკარურ ვიყავი და მშიშარარე, კუისარს ვებრძოდი, მეშინოდა ხვიარების ფესვებისა.

გულზვიადურ ვიყავი და ლოთიურ, მაგრამ ჩემი ხალხისათვის არასოდეს მიღალატებია.

ჩვენი უბედურება ამჟამადარ ეგაა: ჩვენში მოღალატენი სჭარბობენ ერთგულებს. განა თუ სხვისი, საკუთარი თავისა, თავის ხალხის მოღალატენი.

ეგერ კარგად ვიყრი, თვით ჩემს მსჭოვრებში ნახევარი ბიზანტიელებსა ჰყავდათ შესყიდული, ნახევარი სარკინოზებს.

როცა ხალხს ამდენი მოღალატე შინა ჰყავს, მაკედონელიერ ვერ გაამარჯვებინებს მას.

ზასიანთან ჩემს აზნაურებს რომ არ ეღალატნათ, იქარ ვძლევიდი ზასილო კუისარს იწოდე.

თუ მთელმა ერმა გაამარჯვება არ მოინდომა, მაკედონელიერ ვერ უშველის მას, რადგან ჯერ არსად გაუმარჯვებიათ მშიშარებსა და მსჭოვრებს.

სიყრმე და სიჭაბუკე დიდ საქართველოსთვის ზრძოლას შევალთ, მაგრამ ქართლელები „აფხაზს“ მეძახდნენ, ხოლო აფხაზები „ქართლელების მსჭოვარს“ მინოდებდნენ – ზაგრაგოვანს, ლაზს.

დამანელა აზნაურებისა და სარდლების კინკლაობამ. ჩვენში ყოველ ნაბიჭვარს აზნაურობა სწყურია, ყოველ ნარარქექიას – სარდლობა...

ჩვენი უბედურება ეგაა: სხვის ფანდურზე ზუქნაობა გვიყვარდა მუდამ, ამიჭოძარ მყსრს ავლებდა საქართველოს სხვათა ქვეყნებში ატეხილი ჭირი.

ხალხიერ აზნაურებს ზაძავდა, ამიჭოძარ მშვენიერს „ყუხოს“ უნოდებენ, კარგ ქართულ თხილს – „ბერძნულს“. ხოლო საყუეთესო წერწვსარ „ბერძნულს“. სიმთვრალეში კარგი ვაჟკარები ვართ და კარგი რიტორები, ეგაა ოლონდ – სიფხიზლის დროს ჩადენილი რუდკარობა სიმთვრალეში გვავინყუება ხოლმე, ხოლო ქეიფის დროს დანაქადი ყუკე აღარ გვახსოვს გამოფხიზლებულთ.

ოღითგანვე ასე მოგვდგამდა ქართველებს, მუდამ ჩვენს სიმყრეს მივსჭიროდით, რადგან მტერი აურარხელი გვყავდა, მუდამ, მაგრამ დიდიკარი თუ გამოგვერია, მას ისე დავკორტნით, როგორც დაკოდილო ძერას ყორნები“.



თბილისი
ჯილდოსი

* * *

ხმდესაც ასე ახლმა გემი,
მეც მინდა ვიყო უფრო მაღალი,
რომ დანახონ ჩემში ან ჩემით
ხალაც ახალი, სულ მთლად ახალი.
და თუმცა გემი ახის ბებეჩი,
ახის დაღლილი და დანგხეული,
მე მაინც მამღვჩევს ეს სექტემბერი,
როგორც საყვავილე ქალის სხეული.
მე მაინც ყუთილ ფიქრებით მავსებს
სახეგაპოზირებულ ყელის აღმუხი
და უკვე ვიცი, ხად მიყვას ასე
ვაზილ, ჩუქჩითმაც და საღამუხილ.
მე ყველაფერი მომწონს და მიყვას
და ყველაფერი მგონია ჩემი
ხმდესაც ასე ახლმა გემი,
ხმდესაც ასე ახლმა გემი!

ბავშვი უჩავედა სტუმრების თხოვნით

ბავშვი უჩავედა სტუმრების თხოვნით,
უცანცავებდა პატარა მხეხი,
გახეთ ჯი თვითონ ბუნების ნებით,
თავგანწიხელად დნებოდა თოვლი.

ჩნდებოდა მინა, სველი და შავი
როგორც დანჯირი მდინახის ფსახი,
და ხეებს, თუმცა ახ ედოთ ფეხი,
მაინც ამაყად ეჭიხათ თავი.

ბავშვი უჩავედა სტუმრების თხოვნით,
ხოლო მესიკა ქახივით დალი
ქალს აწყებოდა და დიდი ქალიც
თითოდა მესიკის უცნაუხ თითოღვით.

ოგვლივ უძიავად ისხდნენ სტუმრები
და სტუმრებისთვის უხილავ ცაში
მსუბუქი ფხთებით მიჭიხოდა ბავშვი
და სხეულს ველახ გიძნობდა სხელებით.

1965 წელი

მონლოლების ბანაკი
/ესეიზი/

ყაცი ახ დახჩა ამბის მომყოლი...
მზეზე ბიჭყვიანებს მდინახის ზეხი
და ჩემი სისხლით გავსებულ თუნგებს
მიანფიხიანებს ქვებზე მონლოლი.

თუნგის ფიხილით დამფხთხარი ფახა
გადამწვახ ველზე მიდის ქანჭალით
და შესევია მონლოლის ბანაკს
მტვეხი, ყაყანი და ბუხანჯალი.

1959 წელი



ფედერაციო გახსია ღოხჲა

გზოდან გადუხვევს მაღალი ბოშა,
ცხენს გამობხნის და მოიფხანს ჟეფას.
ჭიადებს ლეხი ძაღლები ყუფენ
და შოხს გხანადის სამიჯლო მოსჩანს.

ჲა საყვარელი ყოფილა, თუხმე,
მდინახის ჰიხას ჰაჲახ სუხი.
მდინახის ჰიხას ისვენებს სუხი
და არეხებენ ბოშები უხემს.

და ხელს იჩიღილებს ხესთან იხენე
/ვილაც მხედახი ლიღინებს მთაში./
ფოხოთობაღს ჭამს და იცინის ბავშვი
და ყვირის იხენე... იხენე...

მდინახე ახის მჲხოღი და ცივი,
მჲხოღი და ცივი და სულ მთღად ლია,
და ხოგოხჲ მიზანს ამცდახი ტყვიო,
მინდუხების ჭახი ყუხებში წივის.

1957 წელი

შემოდგომის ჰიხველი ღლე

ღიღი ხნის მუხე: ღლინით ან ლამით,
სულ უხითი წუთით, ან უხითი წამით,
გაგვახსენდება მთელი სიცხადით,
ჲასაც ვაქებღი, ანდა ვაყიხავღი.
წამოგვეწევა ჩამუხად უოცონთთან,
ჲაც ახ მოგვეწონდა, ანდა მოგვეწონდა,
ჲასაც ვეძებღი, ანდა ვაჲგავღით
და ჲასაც ვგავღით, ანდა ახ ვგავღით.
მე მუშინია იმ უხითი წამის,
იმ უხითი წვეთი თაფლის თუ შხამის,
მაგჲამ ცხოვრება შღეღიც და მშვიღიც,
ჯუხი ისევე მიღის, მიღის და მიღის.

1963 წელი

* * *

მინდოხში ვდგავახ და ჭოხებს ვესტვენ,
მხოლოდ იმიტომ, ჲომ დაგენახო,
ზედაზნის წისლო, წაზო და სესტო,
მდინახის თვარო, ტყევე და ვენახო.

მთაზე უბელო ცხენს მივაჭენებ,
ღომ მოგანწონო თავი, ბებუღი,
და თუ ახ ვიცი, თვითონ მაჩვენე,
ხოგოხ შუგბეღო და მოგუფუღი.

მე იქნებ ვჩუხიბ და სიჩუხიში,
ჲაც ღლე მუჲუთვნის, იმასაც ვაჲგავ.
მაგჲამ მე ვიცი, ჲომ თქვენს გახემე
ვეხასღოხს ველახი ვიქნები აჲგად.

1960 წელი

ვასილ გვეტაძე

ყველაზე ღამაზი მინის უხვეავება

ქალბატონ ადა მარშანოს

იქნებ ლამებმა ზეცაც გადაბინდონ,
მაგჲამ ჩანგს ხოგოხმე სიმი თუ აება,
ჩვეუღ სიმღუხებით ისევე განვადიდებთ
ყველაზე ღამაზი მინის უხვეავებას.

ჩვენ მახიტა ჯაცები ვიყავით ოღესღაც,
ღომები ვიყავით, ჯაცები ჲი აჲა..
ხოცა გამწახებულ ქაღის ხმა მოგესმა,
შენ შენმა ზღვისჰიმა წინ ჩამოგოხა.

მწვეღია ჰადმებში მთვეღმახე ბუნება,
ძწეღია, ჲოღესაც გულში ითუთქები,
ხოცა მოღოღინი შინ დასახუხებღად
ითვეღა თვეებით ჲი აჲა, წუთებით.

სიტყვას ახ დაცვივა ცუხები, მანანები,
სიღს ახ აჰყვება ბიბინი მღეღოთა.
...ქაღი აგონებდა დახბახს დაწანებით,
ღომ უსამშობღოებს სამშობღო ეღოდათ!

აჲა-იქ ძიღფხიზღად აჲუხები მიხუხეს
(ჩვენ ასე ღხოდაღხო წახსულღიც გვიჭიღდა)
ქაღი გვახსენებდა, ჲომ თვარღში გვიყუხებს
უვამღით მობუხეღი გაგჲა და ბიჭვინთა;

ღომ წისღიანი თვარების სისვეღე,
ღომ ყუხში უხიადებს უღავ თავზახღამცემად,
ცამუტი თვისა და ცამუტი ღლის მუხე,
ჰადმების ტყღომა და სოხემის დაცემა.

ჩუქუხითმებს აეღვებს ათონის ტაძახი
ანბანი, აჭიღი ქვაზე ასოებად.
ეს ახის, ჲაც ახის, ეს ახის, ჲაც ახის,
ეს ახის მღოცვეღი ხაღხის სასოებად.

გუნდ-გუნდად ზღვა წელახ ამოყიღის თოღიებს,
წუ აგეშღის ჭაფიან ტაღებღის დგაფუღი,
ისეღაც წინაჰიხს ხმა აგვიყოღებს
სსოვწაში, ზღვაში და მინაში დაფღეღი.

აინგჲენ ღანღები ხელხმღიან ჭახთვეღთა,
მოღიან მხედუხები, ჲომ მოჲგენენ თავიღან.
ისე ჲი, ვინც ქვეწაღად ჲამე გააჲეთა,
აქღან იმქვეწაღად აჲავინ წავიღა.

აქ დახჩა, აჲა იმიღი სამჲვიღოღი
და სულღიც, სახეღიც, მუჲიღ მუჲს აება...
იმათ გაუმახჲოს, ისინი ვადღოთ
ყველაზე ღამაზი მინის უხვეავება!



პლასტიკური ჩირურგიის სირომების საწინდარი

რა ალამაზებს ალამიანს? ამ ერთი შეხედვით, მარტივ და უბრალო კითხვაზე პასუხი არც ისე იოლია. და მაინც რამდენიმე სიგყვით ასე შეიძლება ვუპასუხოთ: სულიერი და ხორციელი სილამაზის ერთობლიობა.

ჩვენი თანამედროვე საზოგადოების ჰარმონიულად განვითარებულ პიროვნებას, სჭირდება არა მარტო პური, წყალი და ჰაერი, ჩასაცმელი და დასახური, არამედ სილამაზეც, რადგან მშვენიერება აკეთილშობილებს, აფაქიშებს და ალამაზლებს ალამიანს.

არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ცხოვრების პირობები ყველას როდი აძლევდა მშვენიერებისა და სილამაზის შეცნობის საშუალებას, და თუ დღეს ალამიანი მეგალ ფიქრობს ამ საშუალებებზე, ეს ქვეყნის წინსვლისა და განვითარების ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარია.

ამ მრწამსითა და იდეით იყო განპირობებული ქართველ ექიმთა ჯგუფის: პაატა ჯანაშიას, ლაშა იაშვილის, ზურაბ თარგამაძისა და მათი ხელმძღვანელის, აკადემიკოს ბესიკ იაშვილის სტაჟირება აშშ-ის წამყვან კლინიკებში. შედეგად არ დააყოვნა და 1997 წელს დამოუკიდებელ ფუნქციონირებას იწყებს მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებული კერძო სამედიცინო კლინიკა - ესთეტიკური პლასტიკის ქირურგიული ცენტრი, რომელიც მაღალი კლასის უცხოური აპარატურითა და თანამედროვე მეთოდებით გვთავაზობს ყველა სახის პლასტიკურ ოპერაციას: სახის დაჭიმვა, ქუთუთოების პლასტიკა, მკერდის გადიდება-დაპატარავება, კორექცია, აღდგენა, მუცლის დაჭიმვა, ზედმეტი ცხიმის მოშორება (ლიპოსაქცია).

მათ შორის ყველაზე ხშირი და ეფექტური მაინც ცხვირის პლასტიკაა უახლოესი მეთოდებით.

და მაინც ჩვენი დაინტერესება ამ კლინიკით ერთმა კონკრეტულმა შემთხვევამ განაპირობა.

მეექვსე კლასში იყო მეგობრის შვილი ცხვირის მრავლობითი დამიანება რომ მიიღო. თუმცა მისი ასაკის გამო მაშინ შეუძლებელი გახდა ოპერაციის გაკეთება. ეს მხოლოდ 16 წლის ასაკში იყო დასაშვები. და აი, ხანგრძლივი კონსულტაციების შემდეგ გადაწყდა, ნინოს სწორედ ამ კლინიკაში გაეკეთებინა ცხვირის პლასტიკური ოპერაცია.

როცა ესთეტიკური პლასტიკის ქირურგიული ცენტრის მღერბლს გადავაბიჯეთ, თავი მართლაც სილამაზისა და მშვენიერების ესთეტიკურ სამყაროში ვიგრძენით. ფაქიზად და გემოვნებით მოწყობილ ინტერიერს ოთახის ყვავილებისა და მცენარეების მწვანე ოაზისი ამშვენებს. აქ შემოსულს პირველი წუთებიდანვე გტოვებს შიშისა და

ემოციური დაგვირთვის ის განცდა, რაც ხშირად ახლავს ხოლმე სამედიცინო პერსონალთან შეხვედრის მომენტს.

ის დადებითი მუხტი, რომელიც აქ მომუშავე ნებისმიერი პერსონალიდან თუ გასაოცარი სისადავით მოწყობილი კომფორტული გარემოდან მოდის, განსაკუთრებული ნდობითა და იმედით განგაწყობს, არა მარტო გულშემატკივარს, არამედ რაც ყველაზე ნიშანდობლივია, პირველ რიგში თავად პაციენტს.

ოპერაცია საკმაო ხანს, თითქმის ხუთ საათს გრძელდება, რაც მისი სირთულის ხარისხის მიმანიშნებელია, თუმცა დროის განცდა მაშინვე გავიწყდება, როცა საოპერაციოდან გამოსული ექიმების იმედიან და გადიმუბულ სახეებს ხედავ. ცოცხალი და რეანიმაციის და ოთახიდან, სადაც ავადმყოფს მხოლოდ რამდენიმე საათს გოვებენ და შემდეგ შინ ამგზავრებენ, თვით პაციენტი გვიღიმის და ხელს გვიქნევს. ეს იმას ნიშნავს, რომ მშვენიერებამ და სილამაზემ გაიმარჯვა და ამ მორიგ გამარჯვებას თანაბრად იმიარებენ აკადემიკოსი ბესიკ იაშვილი, ქირურგი პაატა ჯანაშია, ანესტეზიოლოგი ლაშა იაშვილი,



ბესიკ იაშვილი და პაატა ჯანაშია უცხოელ კოლეგასთან

დამხმარე მედლები და აქ დასაქმებული ყველა სხვა პერსონალი.

სულ რაღაც ათი დღე და... პაციენტი უფრო მშვენიერი და მიმზიდველი ცხოვრების ჩვეულ რიგშს დაუბრუნდება.

გვესაუბრება თერმულ დამიანებათა და აღდგენითი პლასტიკური ქირურგიის სამეცნიერო პრაქტიკული

ცენტრის დირექტორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მედიკო-ბიოლოგიურ მეცნიერებათა და სხვა საზოგადოებრივი აკადემიების ნამდვილი წევრი, ბატონი **ზესიკ იაშვილი**.

- თერმულ დაზიანებათა და აღდგენითი ქირურგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი გარკვეული მონო-პროფილის დაწესებულებაა. აქ ძირითადად ორი ჯგუფის ავადმყოფები ხვდებიან: - პირველი, ეს არის ავადმყოფები, რომლებიც სხვადასხვა თერმული გრავმის შედეგად: ეს იქნება ალით დამწვრობა, დანით თუ ქიმიური დამწვრობა და ა. შ. საჭიროებენ სასწრაფო-გადაუდებელ ოპერაციას, დაკარგული კანის ფართის აღდგენას და ამ გრავმასთან დაკავშირებული სხვადასხვა პათოლოგიური პროცესების გამოსწორებას, ამიგომ ეს მწვავე გრავმა არის პირველადი, ვინაიდან საქმე გვაქვს ავადმყოფის სიცოცხლესთან.

მეორე ჯგუფი, ეს არის ავადმყოფები, რომლებმაც უკვე გადაიტანეს ეს გრავმა და ესაჭიროებათ აღდგენითი, ე. წ. რეკონსტრუქციულ-ქირურგიული მკურნალობა ანუ რეკონსტრუქციული პლასტიკა. ე. ი. დარღვეულია სხვადასხვა ორგანოს ფუნქცია და საჭიროა მისი აღდგენა. ეს ყველაფერი შედის პლასტიკურ ქირურგიაში. ე. ი. პლასტიკური ქირურგია არის ერთ-ერთი დიდი ნაწილი ზოგადი ქირურგიისა. ამ ვეებერთელა ნაწილში კიდევ არის დანაყოფები. სწორედ ერთ-ერთი მათგანია ესთეტიკური პლასტიკა. ეს მეტად საპასუხისმგებლო თავია, რადგანაც აქ უკვე ავადმყოფთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ საქმე გვაქვს პაციენტთან, რომელსაც ამა თუ იმ ანომალიის გამოსწორება უნდა. ეს შეიძლება იყოს დაბადებიდან თანდაყოლილი ანომალიები, ასეთი პაციენტი შედის რეკონსტრუქციული აღდგენის პლასტიკაში, მაგრამ პაციენტი, რომელიც დაიბადა კეხიანი ცხვირით და საჭიროებს ამ კეხის მოშორებას, მიეკუთვნება ესთეტიკურ პლასტიკას. მასვე მიეკუთვნება კანის ცვლილებების აღდგენა ასაკთან დაკავშირებით, ასევე სახის დაჭიმვა, ბელმეტი ცხიმის მოცილება, ასევე გუჩების გაღივება, მკერდის გაღივება ან დაპატარავება. ყველაზე ხშირი ახალგაზრდების ასაკისთვის არის ცხვირის პლასტიკა. აქედან გამომდინარე გარკვეული საზღვრები არსებობს ესთეტიკურ პლასტიკასა და რეპროდუქციულ პლასტიკას შორის.

რადგან მოგვისწრო ისეთმა დრომ, როცა შეიძლება იმის გაკეთება, რაც გვსურს, ამიგომ თანამედროვე მეთოდებითა შესაბამისად შეიქმნა ეს კერძო დაწესებულება, რომელსაც ჰქვია ესთეტიკური პლასტიკის ქირურგიული ცენტრი.

მე და ჩემს კოლეგებს მოგვეცა საშუალება, კონტაქტი დაგვეყარებინა ამერიკელ კოლეგებთან. კალიფორნიის, სან-ფრანცისკოსა და სტენფორდის წამყვან კლინიკებში მიღებულმა პრაქტიკამ და გამოცდილებამ დაგვარწმუნა ჩვენს სიძლიერესა და პოტენციაში. ამან კი საშუალება მოგვცა, დაგვეწერა სიახლეები და ცალკე პროფილად ჩამოგვეყალიბებინა ესთეტიკური ქირურგიის პლასტიკური ცენტრი და ჩემს მოწაფეებთან ერთად, რომლებიც წარმატებით უძღვებიან ამ საქმეს, მეხელმძღვანელა ამ დარგისათვის, როგორც თერმულ დაზიანებათა და აღდგენითი პლასტიკური ქირურგიის სამეცნიერო ცენტრში, ასევე ესთეტიკური პლასტიკის ქირურგიულ ცენტრში.

ამავე ბაზაზე შევექმნით კერძო სამედიცინო ინსტიტუტი - პლასტიკური ქირურგიისა და დერმატო-კოსმეტოლოგიის სამედიცინო ინსტიტუტი. დიდ კონტინგენტს ჩვენ აქ არ ვღებულობთ, მაქსიმუმ 20 სტუდენტი წელიწადში, ვინაიდან ჩვენ ვმუშაობთ უფრო მეტად იმიჯზე და ხარისხზე.

მინი ლოსი: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ განაწილებით იწყებს მუშაობას ქ. რუსთავეში ქირურგ-ორდინაგორად. ვინაიდან მაშინ რუსთავეის მეტალურგიული ქარხანა დიდი სიძლიერით მუშაობდა და ხშირი იყო თერმულ დაზიანებათა შემთხვევები, ავადმყოფთა უმეტესობა წარმოადგენილი იყო თერმული დაზიანებებით, ამის გამო მას უხდება, როგორც ზოგადი ქირურგიული პლასტიკის, ასევე პლასტიკური ქირურგიის ათვისება. შემდეგ იყო ლენინგრადის ერთ-ერთ წამყვან კლინიკასთან არსებული სამხედრო-სამედიცინო აკადემიის თერმულ დაზიანებათა კათედრასთან და მოსკოვის ვიშნევსკის სახელობის ქირურგიის ინსტიტუტთან (სადაც იყო თერმულ დაზიანებათა საკავშირო ცენტრი პროფესორ შნაიდერის ხელმძღვანელობით) თანამშრომლობა. რის შედეგადაც მისი ინიციატივითა და სხვადასხვა ინსტიტუტების დახმარებით სისხლის გადასხმის ინსტიტუტის ბაზაზე იქმნება 30 საწოლიანი განყოფილება. პარალელურად ბესიკ იაშვილი ამზადებს პროფესიონალურ კადრებს. შემდეგ იგი ხვდება ბატონ ედუარდ შევარდნაძეს და დაარწმუნებს, რომ საჭიროა ამ მიმართულებით შეიქმნას სრულიად ახალი, დამოუკიდებელი ცენტრი. ედუარდ შევარდნაძის, ჯანდაცვის სამინისტროსა და სხვა მაშინდელი ხელმძღვანელების მხარდაჭერით გამოიყო ადგილი, სადაც 1984 წელს ფუნქციონირებას იწყებს საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი პირველი დამოუკიდებელი ცენტრი - ორთოპედო-ქირურგიული საავადმყოფო, რომელიც ფაქტიურად მთელ ამიერკავკასიას ემსახურებოდა. შემდეგ მას სახელწოდება შეეცვალა და დაერქვა თერმულ დაზიანებათა და აღდგენითი ქირურგიის ცენტრი.

12 წლის განმავლობაში ბატონი ბესიკი გახლდათ ვიშნევსკის სახელობის ქირურგიის ინსტიტუტის საპრობლემო კომისიის წევრი, ამ კომისიაში მაშინ შედიოდა სულ 13 წევრი და მათ შორის საქართველოდან წარგზა-



ენელოგანი გზა ჩრდილოეთ კავკასიონზე გადმოდიოდა. ამდენად თბილისი იმთავითვე მნიშვნელოვან გზათა შესაყარზე მდებარეობდა. ახალ არქეოლოგიურ აღმოჩენებს როგორც დიდ დიდობში, ასევე საკუთრივ ძველი ქალაქის ფარგლებში, მნიშვნელოვნად შეუძლიათ ხელი შეუწყონ თბილისის როლის განსაზღვრას საერთაშორისო მოვლენების კონტექსტით.

გარდა თემატიკური სამუშაოებისა, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტით ფინანსდება, დიდი მნიშვნელობისაა უცხოურ სამეცნიერო ცენტრებთან თანამშრომლობით შედარებით ფართოდ გაშლილი არქეოლოგიური კვლევა-ძიება. ღმანისის გათხრებში აქტიურად არიან ჩართული ამერიკელი, ფრანგი, ესპანელი და სხვა პროფესიონალი არქეოლოგები, სკულენგები. მნიშვნელოვანია „გროა-ულაბოს“ სამეცნიერო პროექტი, რომელიც კახეთში ხორციელდება და რომელსაც, ძირითადად, გერმანული მხარე აფინანსებს. პროფესორ კიამო ფიცხელაურთან ერთად აქ მიმდინარე წლის სექტემბრიდან იმუშავეს გერმანელი არქეოლოგი, პროფესორი ვინფრიდ კორფმანი ხელმძღვანელობს. საქართველოში ასევე იმუშავენ ცნობილი გერმანელი მეცნიერები ანდრეას ფუგენგლერი (ჰალე), ინგოლ მოტცენბეკერი (ბერლინი) და სხვები.

კახეთში სამუშაოები საგარეჯოს რაიონში „ნაომარ გორამე“ მიმდინარეობს. აქ ჯერ კიდევ ორი ათეული წლის წინათ აღმოაჩინა კიამო ფიცხელაურმა მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლი. მანვე პირველმა მოიძია სათანადო, უადრესად საინტერესო აეროფოტოგრაფიების მასალები. ეს პირველი მონაცემები სახსებით დაადასტურა გერმანელთა მიერ აქ ჩატარებულმა კოსმოსურმა გამოკვებამ.

გასული წლის შემოდგომისა და ზამთრის თვეებში განხორციელებულმა არქეოლოგიურმა ძიებამ ქართველი არქეოლოგის სხვა ვარაუდს დაადასტურა. კერძოდ, ის, რომ ძველი მნიშვნელოვანი მასშტაბურია. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს დიდი სანახევროდ გამოთლილი ბლოკებით ნაშენი მონუმენტური ძეგლები, რომლის სიგანე ხუთ მეტრს აღემატება. აგრეთვე თვით ზღვას შიგნით მოქცეული ნაგებობები. ჯერჯერობით გამოვლენილი ქვედა ღონის ცხოვრების ნაშთები არქეოლოგიური და ფიზიკური (რადიოკარბონული) გამოძიების მეთოდებით ძველი წელთაღრიცხვით მე-11-მე-9 საუკუნეებით არის განსაზღვრული. ინტერესს იწვევს ბოლო ხანებში აღნიშნული ძეგლების არეალში გამოვლენილი და ნაწილობრივ შესწავლილი ყორღანები (გორა სამარხები). ჩანს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს (კახეთის) ეს მონაკვეთი აღმოსავლური და დასავლური ცივილიზაციებისაკენ საქართველოდან მიმავალ გზაზე მდებარეობდა. ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს გათხრების საერთაშორისო მნიშვნელობის მონაცემებთან.

ახალი მნიშვნელოვანი მონაცემებით, ვფიქრობთ, აღინიშნება ვანის ცნობილი ექსპედიციის (ამჟამად მას ხელმძღვანელობს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი დარეჯან კაჭარავა) მიმდინარე სამუშაოები, საამისო მასალებზე უკვე მოპოვებულია. ექსპედიცია ამჟამად (სამწუხაროდ, მისი ხელმძღვანელის აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის გარდაცვალების შემდეგ) ევროპული გრანტით არის დაფინანსებული, რაც სამუშაოების გვიან შემოდგომამდე გაგრძელების შესაძლებლობას იძლევა. მათ შესახებ სხვა დროს შეიძლება ვიმსჯელოთ. გრძელდება კამერალური და მომავალში, ალბათ, გათხრითი სამუშაოები სვანეთში (ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი შოთა ჩართოლანი). აქ ათეული წლების მანძილზე მნიშვნელოვანი არქეოლოგიური სამუშაოებია ჩატარებული და ისტორიკოსებისათვის (და არა განმითამაძიებელთათვის) უნიკალური მასალა მოპოვებული. მათ დაუმუშავება და დაბინავება სჭირდებათ. წესს, იმედია, ექსპედიციას დაზავ გაუხსნდება. ამასთან სვანეთში გაიხსნება ახალი მუზეუმი, ყველაფერი ეს ამ კუთხისადმი ქვეყნის ყურადღების მნიშვნელოვანი გამოვლენება იქნება.

აგრძელებენ არქეოლოგიურ სამუშაოებს სამხრეთ საქართველოს მთიანეთის (ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი მანანა ვაბუნიანი), კოლხეთის (ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი რევაზ პაპუაშვილი) და სხვა ექსპედიციები.

დიდი მოცულობის სამუშაოებია განხორციელებული ქვეყნის ახალმშენებლობების, კერძოდ კი, უპირატესად საერთაშორისო ნავთობსადენის მშენებლობის ზონაში. ეს საკითხი ცალკე დიდ თემას წარმოადგენს. მის შესახებ ჩვენი საზოგადოება მეტ-ნაკლებად ინფორმირებულია. მოკლედ შეიძლება ითქვას, რომ არსებული კანონმდებლობის საფუძველზე, არქეოლოგიური კვლევის ცენტრი უკვე მესამე წელია აწარმოებს დაბეჭდვით და გათხრით სამუშაოებს ძირითადად თეთრი წყაროს, წალკის, ბორჯომისა და ახალციხის რაიონებში. მნიშვნელოვანი ძეგლები გამოვლენილი თეთრი წყაროს (ხელმძღვანელები ბეგი შაგბერაშვილი და ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ჯუანშერ ამირანაშვილი), წალკის (ხელმძღვანელი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი გოდერძი ნარიშკინი), ბორჯომის (ხელმძღვანელი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ირინე ლამაზაშვილი), ახალციხის (ხელმძღვანელი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები - ვახტანგ ლიხელი და ალექსანდრე ორჯონიკიძე) ექსპედიციებმა. ეს სამუშაოები ინგლისური კომპანიის „ბრიგემ პეგროლუემის“ ხაზით ფინანსდება და არქეოლოგიურ ცენტრს და სხვა დაწესებულებებს კარგი შესაძლებლობა აქვთ, როგორც გათხრებით ჩატარების, ასევე მასალების შესწავლის თვალსაზრისით. დღეს და წინათაც, უცხოურ კომპანიებთან ურთიერთობისა და სამუშაოების წარმართვის პროცესში მნიშვნელოვან დახმარებას ვეძიებთ საქართველოს მისაღების საერთაშორისო კორპორაცია. ვიმეორებთ, მშენებლობის ზონაში განხორციელებული და ახლაც მიმდინარე არქეოლოგიური სამუშაოები ცენტრის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად თემას წარმოადგენს და მათი მნიშვნელობის შესახებ სხვა დროს უფრო ვრცლად შეიძლება მსჯელობა.

და ბოლოს, ორიოდ სიტყვით კვლავ ღმანისის გათხრებს მინდა დავუბრუნდე. ამ დღეებში ღმანისის შუა საუკუნეების ნაქალაქარის ფარგლებში, მთელი მსოფლიოსათვის ცნობილი ადამიანის უძველეს ნაბინავარზე აღმოჩნდა კიდევ ერთი ნიმუში ძველი ადამიანის ყბის ნაშთისა. მისი გაწმენდა ჯერ დასრულებულიც კი არ არის... არის სხვა მონაცემებიც, რის გამოც ექსპედიციის ძირითად ბირთვის (ისტორიის მეცნიერებათა დოქტორებს: ჯუანშერ კოპალიანს, მედეა ნიორაძეს, დავით ლორთქიფანიძეს, პალეონტოლოგ-აკადემიკოს აბესალოდ ვეკუას), აგრეთვე მთელ კოლექტივს შეიძლება მივულოცოთ. ახალმა აღმოჩენებმა ახალი საინტერესო პრობლემები დააყენა...

არქეოლოგიური ცენტრის სხვა ძირითად სამეცნიერო პრობლემებს მომავალშიც შეიძლება შევეხოთ... ძირითადი თემატიკა კი კვლავ ადრე შემუშავებულ პროგრამას ეყრდნობა. ამითგან უპირატესია არქეოლოგიურ აგლასზე შემოღობა. ამ საქმიანობაში მთელი ცენტრია ჩაბმული. დიდი ადგილი დაეთმობა წინათ გათხრილი ძეგლების შესწავლასა და პუბლიკაციას. პრაქტიკული საველე არქეოლოგიური სამსახური კი ძეგლების გადარჩენის საქმიანობას დაუკავშირდება. ეს არ გამოირჩევა, რომ ზოგ არა ახალ, მაგრამ მნიშვნელოვან პრობლემას მეტი ყურადღება არ დაუეთმონ... ასეთის მაგალითად ქალაქ ფაზისის ძიებას დავასახელებდი. მასვე შეიძლება დავუკავშირებოდა კოლხეთის სხვა ჯერ მიუკვლეველი ცენტრების, მათ შორის ლეგენდარული ახას ძიება... სხვა პრობლემითავე კვლავ ინტერესს იწვევს ქართველთა ეთნოგენეზისა და უძველესი ქართული სახელმწიფოების წარმოქმნის ქრონოლოგიის საკითხები...

არქეოლოგიას ჩვენი ძველი ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით დიდი სიახლეები მოაქვს. კიდევ ერთ ასეთს დავასახელებთ: ქუთაისის დიდებული ბაგრაგის გაძრის ფარგლებში უფრო ძველი, ასევე მონუმენტური გაძრის ნაშთებია მიკვლეული... სექტემბერში ბაგრაგის გაძრის აგების 1000 წლისთავის იუბილეა დაგეგმილი... არქეოლოგიური ცენტრისა და ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებულმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი პროფესორი ომარ ლანჩავა) ამ აღმოჩენით მნიშვნელოვანი სიახლე შეიგანა ძველი საგახტო ქალაქის ისტორიაში.

კპირფასი სტუმარი და ბელნიერი მასკინიკელი

(იზაქდვაა ზეიოკლავით)

ილია ჭავჭავაძის გამგებარება აფხაზეთში მოულოდნელად მოხდა: 1903 წლის მაისის დამდეგს გამართულ თბილისის გუბერნიის თავდაზნაურთა კრებაზე დამსწრე საზოგადოებამ იმსჯელა გავრაში დასახლებული პრინცის პეგრე ოლდენბურგელის „ამაგსა და ღვაწლზე“, რომელიც მან დასდო იმ კუთხის გამოცოცხლებას, /სადაც მან დააარსა კურორტი და გახსნა რეალური სასწავლებელი, რომელშიც ქართველთა შვილებისთვისაც გამოყო ადგილები/. ერთხმად დაადგინა, რომ უცხოელი „ქველმოქმედი“ პრინცისათვის მადლობის გამოსახატვად გაეგზავნათ დეპუტაცია ილია ჭავჭავაძის მეთაურობით. დეპუტაცია 20 მაისს ქუთაისში შეჩერდა, სადაც დაესწრო ქუთაისის გუბერნიის თავდაზნაურთა კრებას.

1903 წლის 22-23 მაისს კი ილია და მისი თანმხლები პირები გავრაში სტუმრობდნენ პრინც ოლდენბურგელთან. დაქსრებული მისიის პირნათლად შესრულების შემდეგ, დეპუტაცია გავრიდან სოხუმისაკენ გაემართა. ცნობილი პუბლიცისტი, ეთნოგრაფი და საზოგადო მოღვაწე თედო სახოკია წერს: „ელვის სისწრაფით მოედო მთელ ქალაქს ილია ჭავჭავაძის მოსვლა...“

... გადაწყდა, სადღის გამართულიყო ძმათა შერვაშიძეთა სასახლის ვრცელ ეზოში ასწლოვანი მუხებისა და ცაცხვების ქვეშ და ამ სადღეზე მოეწეათ სტუმრები.

ილიას სუფრის თავში მიუჩინეს ადგილი, ნადიმის მონაწილენი კი სუფრას ორ რკალად შემოუსხდნენ, ძვირფასი სტუმარი კარგად რომ დაენახათ, თამბაღდ ბრწყინვალე იქნა სოხუმელი თემურაზ გაბუნია. „ცნობილი თავისი ჭკუითა და გამოცდილებით“. თამბაღდ პირველად სტუმარი ადღევრძელა, მიულოცა საქართველოს საუკეთესო შვილის სოხუმში მობრძანება, მადლობა გადაუხადა. შემდეგ მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა თედო სახოკიამ, რომელმაც სადღევრძელო ასე დაასრულა: „ეს დღე ოქროს ასოებით წაისწორება სოხუმელთა ცხოვრებაში, თქვენმა აქ მობრძანებამ ყოველი განჯვა დააიწყო აქაურებს, დღევანდელი დღე დაუვიწყარი იქნება სოხუმელთათვის. ნება გვიბოძეთ, მრავალკამიერ სიცოცხლე ვისურვოთ და განუზომელი მადლობა მოვახსენოთ აქ მობრძანებისათვის, ჩვენი ნახვისა და ნუგეშისათვის...“



ილია როცა სამადლობელო სიტყვის სათქმელად ფეხზე წამოდგა, მთელი სუფრა წამოიშალა და ფეხზე მდგარი სულგანბული უსმენდა.

ბატონებო! – დინჯად წარმოთქვა ილიამ და გაგარძელა – დიდი პატივისცემით მოგვსალმებით! ბელნიერი გახლავართ რომ ვხედავ ჩვენს საერთო მშვენიერ სამშობლოს, კალმით დახატულს კუთხეს და მის მოსახლე მშვენიერსავე ხალხს... თქვენ რომ გიყურებთ, გულს იმედი და სასოება ჩამეცხაბა, ვფიქრობ რომ ჩვენი ქვეყანა წინ მიდის, მგერს ისე ადვილად არ დაეწეაგვრინებით, რომელთა ერთი თქმა მავონდება, სინათლე აღმოსავლეთით გვევლინებაო. თქვენ რომ გიციქვით, ეს თქმა ასე უნდა შეეცვალოს, სინათლე დასავლეთიდან მოდის, საქართველოსთვის მაინც-მეთქი. თქვენ მიხედვრილი ბრძანდებით, რომ დღევანდელ ცხოვრებაში სუფრის თავში ის ერთი მისი, ვინც ირჯება, ვინც ცდილობს, ქონება შეიძინოს, ეკონომიკურად წელში გამაგრდეს, ვინც ამას არ ფიქრობს, ვინც სხვას შეპყურებს, აბა, რამე გაგვარდეს ხელიდან და მე ავიდოვო, ის ხალხი გყვილად ნუ ელის შორი მხანილი გათაროს ცხოვრებაში. გყვილად იმედი ნუ აქვს, ცხოვრებას ჭაღილში ფონს გაგიდეს; ასეთი ერთი, ვიმეორებ, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მას საკაცობრიო ცხოვრების სუფრაზე ადვილი არ ექნება, გემრიელი ლუკმა ცხვირზეთი აღდება, ნახსურვრილი თუ ხვდა, ღმერთის მადლი შესწიროს. ყველასაგან გათელილი, ყველასაგან ყბადაღებული ისაა, ვისაც თავის მარჯვენის იმედი არა აქვს, ვინც თავის ძალღონით არ ლამობს ლელოს გაგანას ცხოვრების მოედანზე...

... თქვენი მოძმენი აღმოსავლეთ საქართველოს ქართველები, იმითა ერთი შესაბრალისნი, რომ მეგად გააგით მივიღვართ ეკონომიკური ღონიერებისაკენ. იქ ყველანი ჩვენა გვჩავგარვენ, თავზე გვახსდებიან. აქ თქვენ რომ გიყურებთ გული მინათდება, სასოებით მეცხება: მთელი ქალაქი თქვენს ხელშია: აქაურობის ბაგონ-პაგრონი ხართ, გეცყობათ, დღესა და დამეს ასწორებთ, ცდილობთ, უკვე შექმნილს კიდევ მიუმაგოთ, თქვენი ქონება ერთი ორად აქციოთ, ფხიბლობთ, ყური მახვილად გიჭირავთ, საიდან როგორ უკეთესად და სარფო-ანად მოავგართო თქვენი აქიმე, ამისთვის თქვენთვის განმეხს შნო მოუყო და ამ შნოიანად სარგებლობთ კიდევ. მერწმუნეთ, თუ ქნობთ, თუ ღონიერად ღონიერობთ იქნებით, ყოველი სიკეთე ამქვეყნიური თავისით მოვალეგებით კარზე. თუ ეკონომიკურად წელში გაემართებოთ, ჩვენი სამშობლო, მამა-პაპათავან ნაანდერძევი, შეგვრჩება, ვერვინ წავგვართმევს. თუ ვაჭრობას, თანამედროვე ცხოვრების ამ მთავარ ძარდეს ვუერთგულეთ, ბურთი და მოედანი ჩვენია, ლელოს გაგანაში ვერვინ შეგვეცილება. რომ მოვახსენეთ საქართველოს სინათლე დასავლეთიდან მოდის-მეთქი, იმიტომ მოვახსენეთ, რომ დასავლეთ საქართველოს ქართველობამ აღმოსავლეთ საქართველოს მოძმეებს მაგალითი უნდა უჩვენოს სიფხიბლისა, ცხოვრებაში ბრძოლის უნარის გამოჩენისა, უნდა ასწავლით, რომ იმათაც ამავე გზით იარონ, იმათაც თქვენ მოგაბაძონ, ერთობლივის ძალით მამა-პაპათავან ნაანდერძევი გურფა და მდიდარი ქვეყანა შევირინოთ, სხვას მისი დაპაგრონების მად არ გავუღვიძოთ, მოსუელ ათასგვარ მგერსა და ღუმანს კრიჭაში ჩავედეთ, გავეუკლავდეთ, სხალამ-ოღებულ დაუხვდეთ, ჩვენზე არ გავაციონოთ...

მაშ, გაემართეთ, ბატონებო, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურად აღორძინების პირველი მერცხლებო! გაუმარჯოს თქვენს გამჭრიახობას, სიმკვირცხლეს, ჩვენი ხალხის, ამერ-იმერეთის, მთლიანად ქვეყნის სანუგეშოდ და წასარმაგებლად!

... იგი პატივისცემა, რომელიც დღეს ჩვენ გვიძღვნი, მეგისმეგია, და უნდა მიეწეროს თქვენს გულკეთილობას, მე ჩემის ამხანაგების მაგიერ და ჩემ თავად დიდ მადლობას მოვახსენებთ ამ გადამეგებულ პატივისცემისათვის და ღმერთსა ვიხვო, გახსნათ თქვენ, აქაური ქართველობა იმ საშინელი განსაცდელისაგან, რომელიც მე სულთამხუთავისათვის თვალთ ამეგუბა, როცა აქაურობა დავიარე და დავათვალდებურე, დღეს აქამოდღე ამ მშვენიერს აფხაზ-ქართველთა მიწა-წყალს ხმლით ვინახავდით და ასე თუ ისე შევირინებთ კიდევ. დღეს ხმლით ქარქაშში ჩავეო, დღეს სხვა მგერი მოდის, როგორც ვხედავ, ისე გულ და გულ და პირდაპირ კი არა, როგორც მაცდური და მპარავი. იგი მგერი ფულია, გაიძვერა და მშაკვარი. იგი ღიმილით და აღერსით, და ისე გამოგაცილით ხელიდან ამ ღამაშს, გურფას, მდიდარს ქვეყანას, რომ პირველ ხანში იქნება მადლობელიც გაუხდეთ. კიდევ ვიგყვო: ღმერთმა გახსნათ ამ საშინელ მაცდურისაგან, ღმერთმა ჰქნას და თამამ ხმლისაგან უძღვევლნი არ იძლიენეთ მხდალ და მშიშარ ფულისაგან და შეირინოთ ეს ქართველის სისხლით მორწყული ქვეყანა თქვენდა სადღევრძელოდ და თქვენთა შვილთა და მახლობელთა საბედნიეროდ და თავ-მოსაწონებლად.

იმ ღირსშესანიშნავ დღეს ძვირფასი სტუმრის მისამართით მრავალი გულთბილი სიტყვა ითქვა, მასპინძლებმა ხელში აყვანილი, მიაცილეს ეგლამდე საქართველოს უპირველესი ერისაკაც. ჩახვეს შიგ და სიმღერით და ვაშას ძახლით გამოჰყვენ გემამდე. აქ თავმოყრილი საზოგადოება დიდხანს უყურებდა მისიველ გემს და გზას ულოცავდა ძვირფას სტუმარს, რომელსაც გემი ფოთისაკენ მიაქროლებდა.

ვაჟა-ფშაველა

დიდი თამარი

ქალო, ქაითველთა სელისდგმავ,
 ქალო, ქაითველთა დედაო!
 ცყუილად ვამბობთ შენს სიყვილს,
 თამახს ცოცხალსა ვხედაო.
 ხესთველის ქებას ჩვეულო,
 მეც ქებას გაგიბედაო.
 ხოს ვგძნობ, იმისეზი ვეი ვმლეხი,
 ხად ახ ვჩემდები ნეტაო?!
 ახ მოგენონოს იქნება,
 სთქვა: 'ხისთვის ითავხედაო,
 მონად აღზიდირმა მოლექსემ
 სადამი გამიბედაო?!
 შენ თვალთ სხივებმა ამაგზნო,
 დამათხო, ამაყბედაო.
 საუნჯევ სათნოებისა,
 ჩემიც მიილე ქებაო,
 ვინმე სანყადის ფშავლისა,
 ცხემლი აღაჰა მშხებაო.
 თამახის სალოცავშია
 მოსჩანს ფშავლების ყხებაო,
 შენთვის მსხვეჩხვისა შენიხვიო
 ქაღ-ვაჟი ვეიჰა ძლებაო,
 შენთვის დაჯელის ცხვაჰ-ძიხონის
 დიდი ჩახტები დგებაო.
 გელში გვინთიხაჰ დამჰხადა,
 ნათობს და აჰა ჰქიებაო.
 შენს და შოთაის მაჩჯვენას
 ვემთხვიე ზედოხედაო.
 შენა ხაჰ ეხის სიცოცხლე,
 თავი ახ მომიყვებაო.
 მოწყალებ გვექმენ ქაითველთა,
 ჩემო დამაზო დედაო!

ინტერვიუს ნისლი

იმ დღეს საშინლად წვიმდა მესგიაში. ილო გაბლიანის სახლის ღია აივანზე მწკრივად ვისხედით მასპინძლები და სტუმრები. სტუმართა შორის იყო ცნობილი გერმანელი მთამსვლელი ბაგონი შუმანი მეულ-ითურთ და მისი ორი მეგობარი.

ძლიერი წვიმის ხმა ეზოს იქით მიმდინარე აზვირთებულ მდინარის ხმას ერთვოდა და განიცდებოდა ერთდროულად შიშის მომგვრელ სტიქიურ და ამასთანავე დიდებულ ძალად: უცებ შევამჩნიე, რომ ბაგონი შუმანი ხანგამოშვებით ღგებოდა, აღებდა პირს, ღრმად ისუნთქავდა ჰაერს, შლიდა ხელებს, ჯდებოდა და კვლავ ღგებოდა. გაკვირვებულმა მივადევნე თვალი მის ყურადღებას და დავინახე სასწაული. პირდაპირ, გყით დაბურული მთა ნისლში იყო გახვეული და ნისლი ყოველ წუთში იცვლიდა ფერს: შავი ფერი გადადიოდა ნაცრისფერში, ფერმკრთალდებოდა, ღებულობდა რძის ფერს, შემდეგ ვარდისფერდებოდა და ხდებოდა წითელი, წითელი მუქდებოდა, ხდებოდა შავი და ყველაფერი ისევ მეორდებოდა.

წვიმა თითქმის ერთ საათს გაგრძელდა, გაგრძელდა ნისლის ფერისცვლებაც, ბოლოს წვიმაც შეწყდა და ბურბუხგისფერი გყე ვარდისფერი ნისლის გრძელი ბაფთით დაგვენახა, ფოთლებზე შეუმშრალი წვიმის მოციმციმე ცრემლების უთვალავი სამკაულებით გაპრანჭული.

"Das ist ausgezeichnet!" - წამოიძახა ბაგონმა შუმანმა, წამოიძახეს მისმა მეგობრებმაც. მართლაც ბრწყინვალე, დიდებული სანახაობა გახლდათ.

P.S. ეს ის შუმანია, რომელიც უშბის ერთ-ერთი კალთიდან ჩამოვარდა, ასეული მეგრი იფრინა. სვანებმა იგი, თუ შეიძლება ითქვას, „აკრიფეს“ თოვლის საფარიდან. დიდი ხნის მკურნალობის შემდეგ საავადმყოფოდან გამოსულს უთქვამს: „მე სვანეთის ნისლმა გადამარჩინაო“.

ლონდა მდივანი

მოთხრობა

- გვარი!
- ჩოხელი!
- სახელი!
- ბუთულა...
- პროფესია?
- სოფლის დეკანოზი.
- ვის უჩივით?
- შულღიანთ /ღვთისაფარს/ მახარას.
- რაზე?
- იმაზე, რომ ჩემი საკუთარი ყვავი მისაკუთრეს, გადაიბირეს და ახლა ჩვენიაო, აღარ მანებებენ.
- როგორ თუ შენი საკუთარი ყვავი, მასულელელებ, კაცო?!
- მთელმა ქვეყანამ იცოდა, რომ ის ჩემი იყო, სულ მე დამყვებოდა, სათიბზეც, სახნავზეც... ჩემი იყო, ეხლა კი იმათ გადაიბირეს.
- მოიცა, მოიცა... თქვენ გყავდათ საკუთარი ყვავი, არა? ... რა ერქვა იმ თქვენ ყვავს?
- ყვავს?
- ჰო, ყვავს.
- არაფერი, ხალხი ბუთულას ეძახდა.
- ესე იგი, თქვენ არაფერს არ ეძახოდით, გასაგებია.
- რა არის გასაგები, კაცო?...
- ის, რომ თქვენ მისაკუთრეთ ყვავი, გესმით?
- ღმერთია მოწმე... მე...
- ღმერთი, ღმერთი არ გამაგონო!
- მაპატიეთ: ეს, ისე...
- მოქალაქე ბუთულა, რამდენი ხანი გყავდათ ის ყვავი პირად საკუთრებაში?
- ცხრა წელი, უფროსო.
- ეხლა რაგომ აღარ განებებენ?
- ჩვენიაო, იძახიან.
- ყვავს ვისთან უნდა ყოფნა?
- ყვავი მოაგყუეს, უფროსო, დღედაღამე საკენკს უყრიან. ისიც სულ იმათთან დაფრინავს.
- არც ისინი ეძახიან სახელს?
- არა...

გვიანობამდე საუბრობდნენ ყვავის თაობაზე ბუთულა და მოსამართლე, მერე სასამართლოდან ისეთი დაღლილი გამოვიდა სოფლის დეკანოზი, რომ სახლამდე ძლივს მიაღწია ცხენით.

- რა ქენი, კაცო, რა გითხრა, მოვაცემინებთო ყვავის საფასურს... ხმა ამოიღე, რას გაშგერებულხარ! – ეკითხებოდა ბუთულას ცოლი.
- რაო და შენც და ისაცაო, დამნაშავეები ხართო, ჯერ შენ მისაკუთრე ყვავი, შემერე იმანაო, რაღაცა ბნელი ინგერესების გულისათვის მალავთო.
- უი, მაგრამ ფულს არ მოვაცემინებთო?
- ფული, ფული შეიძლება ასი მანეთი შენ წაგართვათო.
- რაგოო, კაცო?
- ხვად დილით თქვენ სოფელში ამოვალ და გამოცდას მოგიწყობთო. მაღალ ბანზე ერთ მხარეს შენ უნდა დაყარო საკენკი, მეორე მხარეს მახარამო. თქვენ თქვენგან დაყრილ საკენკებთან დაღვებით, მე კი შუაში დავიდგებით, დაველოდებით ყვავსაო, თუ შენ საკენკთან დაფრინდა, მახარამ უნდა გადაიხალოს ჯარიმა ასი მანეთით, თუ იმისაზე დაფრინდა, შენ უნდა გადაიხალო.
- შენ ხო არ გაგიყდი კაცო, ამ ხატობებში ას მანეთზე მეტი არც შემოუწირია ხალხს და ისიც ჯარიმაში უნდა გადაიხალო? ხომ იცი, რო იმათზე დაფრინდება!
- ეგეაო და რა ვქნა.

* * *

მეორე დილით შულღიანთ მთელი სოფელი ბანა გარს შემორგყმოდა. ბანის ერთ მხარეზე მახარა იდგა, მეორეზე – ბუთულა, იმათ შუაში მოსამართლე გაჯგომულიყო.

ნახევარი სოფელი ბუთულას ინგერესებს იცავდა, ნახევარი კიდე – მახარასას. საქმე კი ყვავს უნდა დაებოლოვე ბინა. დიდხანს მოუხდათ ლოდინი, რაგომღაც ყვავი იგვიანებდა. მოსამართლეს ეჭვიც კი შეეპარა ხომ არ მამასხარავეებენო, მაგრამ მახარასა და ბუთულას გამოთავყვანებულ სახეებს რომ შეხედავდა, იმედი ეძლეოდა და თავისთავზე გულში ბრამობდა, რაგომ ორასი მანეთი არა ვთქვი ჯარიმაო.

უცებ ხალხი აჩოჩქოლდა. ჰაერში ყვავი გამოჩნდა, ღრუბელში წრეს უვლიდა და ნება-ნება ეშვებოდა მათკენ. სანამ ძირს ჩამოვიდოდა, ღამის გულები გაუსკდათ მახარასა და ბუთულას.

ბოლოს, როგორც იქნა, მათ თავამდე მიაღწია ყვავმა, ფრთები შეაგყვლაშუნა, მოსამართლეს ზედ ქულზე დააჯდა და დასწავდა, დაასკინგლა და გაფრინდა.

მახარასა და ბუთულას გულზე მოეშვათ, ჯარიმის გადახდას გადაეურჩითო. მაგრამ მოსამართლე ეგრე აღვიდალ

არაფერს სთმობდა, მალე მოეგო გონს და მახარასა და ბუთულას ახალი ბრალდება წაუყენა.

– იმისათვის, რომ რაღაც ბნელი ინგერესების გულისთვის მისაკუთრეთ ყვაი და არც სახელი დაარქვით, უფრო მეტიც, მორალურად გარყვინით ერთიცა და მეორეც ვალდებული ხართ, გადაიხადოთ ორას-ორასი მანეთი ჯარიმა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მიცემული იქნებით პასუხისგებაში. ვაღა გეძლევათ ერთი კვირა.

მოსამართლემ ქული გაწმინდა, დაიხურა და წავიდა. მახარა იმაზე ღონავდა, სად ვიშოვო ორასი მანეთით. ბუთულას კი ცოტა იმედი მიეცა: - წინა დღეობაზე ასი მანეთი შემოსწირეს ხაგს, ორ დღეში ახალი ხაგობაა და იქნებ ასი კიდევ შემოსწიროსო.

* * *

მოხდა უბედურება. არ მოვიდა დღეობაზე ბევრი ხალხი და შეწირულობა აღარ დაუგროვდა ბუთულას, ვერც მახარამ იშოვა ერთ კვირაში ფული, ვინც კი გაიგო, რისთვის სჭირდებოდა, არავინ აძლევდა. მიუხერხებულნი კარს და ბუბუნებდნენ თავისთვის: - წადი მასცქიერ ყვავებს და იქნებ იმათ გადმოსცვივდეთო ფული.

ერთი კვირის მერე მოსამართლემ ორივე თავისთან დაიბარა და სახლში აღარ გამოუშვა. ყოველდღე იბარებდნენ მათი სოფლიდან დაკითხვაზე მოწვევებს. ადგენდნენ ყვავის ვინაობას. ზოგი თავს არიღებდა სასამართლოში სიარულს და პირველივე დაკითხვაზე ჩუმად შეაპარებდა მოსამართლეს ფულს, მერე სოფელში მიბრუნებული თავის ოსტაგურ საქციელზე აზიზად ჰყვებოდა და იმათ, ვინც უკვე მერვედ იყო დაკითხვაზე, თავს ამეგებდა.

შეწუხდა სოფელი, შეაგროვეს ოთხასი მანეთი და თანასოფლელების გამოსახსნელად მოსამართლეს მიუგანეს. მოსამართლემ თითები მაგიდაზე დააკაკუნა და ფული ისე უკმაყოფილოდ ჩააგლო მაგიდის უკრაში, სოფლის თავკაცებს იმედი წაუხლათ.

– თქვენს თხოვნას დავაკმაყოფილებ იმ შემთხვევაში, თუ დაიჭერთ იმ ყვავს და მომიყვანთ, აქ, პირადად მე ცოცხალს!

* * *

დიდი და პაგარა იმ ყვავს დასდევდა დასაჭერად, ის კი აღარავის ეკარებოდა. სოფელში იშვიათად ჩამოდიოდა, შეჯდებოდა რომელიმე ხეზე, დაინახავდებოდა და წავიდოდა. ვერც იჭერდნენ და არც მოკვლა უნდოდათ. მოსამართლემ – ცოცხალი მომიყვანეთო – და რომ მოკვლათ, ვაითუ მთელი სოფელი დაეჯარიმებინათ.

- ბოლოს გამიხარდას მოუვიდა თავში აზრი:
- ხომ ვერ იცნობს მოსამართლე სახეზე, რომელი ყვაი იყო.
- ვერ იცნობს.
- ჰოდა, დაეიჭიროთ სხვა ყვაი და მიუყვანოთო.
- სწორია.
- კი მარა, ვაითუ იცნობდეს? – დაეჭვდნენ ზოგიერთები.
- ერთხელ ნახვით რას დაიმახსოვრებდა, თქვე კაი ხალხო, თქვენა, თანაც კარგად მგონი ვერც დაინახა, პირდაპირ ქულზე დააჯდა და გაფრინდა.
- კი მაგრამ, იმათ რომ წამოსცდით ეგ ყვაი არ არისო, მაშინ... რას შერებით.
- ადგეთ და გასაფრთხილებლად გავაგზავნოთ კაცი. ამას და ამას ვაპირებთ და არაფერი წამოაყრანგალო-თქო გაგზავნეს კაცი ბუთულასა და მახარას გასაფრთხილებლად.

* * *

სოფლის ხილებში ერთ ბებერ ყვავს ჰქონდა ბუღე. სულ ყოველთვის იმ ბუღეში იხდიდა ხოლმე ბარგყებს და ისე მიეჩვივნენ სოფლელები, რომ არასოდეს არაფერს უშავებდნენ. ისიც კარგად ხელავდა მათ კეთილგანწყობას და არასოდეს არა ყოფილა შემთხვევა, რომ ვინმეს ეზოდან წიწილა მიეგაცოს.

მეტი გზა არ იყო. ხალხმა გადაწყვიტა, ეს ყვაი წაეყვანათ მოსამართლისათვის. ბალები აგზავნეს ხეზე და ბუღეზე მჯდარი ჩამოაყვანინეს.


საცოდავი, ისე იყო ხალხის სიკეთით გულდაჯერებული, ერთხელაც არ უცდია წინააღმდეგობა გაეწია მათთვის. რომ მიჰყავდათ, დედაკაცებმა თავისებური მოთქმა გააბეს:

- ვაი, უბედურს, შენ წვრილშვილს!
 - მაშა, ქალო, სულ გაიღადა!
 - ეჰ, ჩვენი ვიკითხოდ თორე, მაგას რა უჭირს, ხო ამბობენ, სამას წელს ცოცხლობს ყვაით, მანამდე იქნებ მოსამართლეს მოკვდეს და გამოუშვებენ.
 - სამასს კი არ ცოცხლობს სამოცსაო.
 - არა, ქალო, ვერ გაგიგია კარგა, სამასსაო.
 - იქნებ მაგათაც არ იციან და იმიტომ უთხრა ცოცხალი მაიყვანეთო, რო აინგერესებს გაიგოს, რამდენ ხანს იცოცხლებს.
 - შვილები კი დარჩა ეგრე და.
 - რას გალადლებიან ყორნები?
 - აბა, ქალო?
- საწყალო ყვაი, რომ წაიყვანეს, რაღაც თუ იგრძნო, დაინახავდა.

* * *

მოსამართლემ ხალხს დანაპირები შეუსრულა: ბუთულა და მახარა გამოუშვა. კარებში რომ გამოდიოდნენ, ბუთულა ისევ მოსამართლესთან შეგრიალდა და ყურში ჩაუჩურჩულა:

- მე კი ნუ გამცემ და... მაგათ სხვა ყვაი შემოგაგყუეს.
- როგორ სხვა ყვაი. – დაიღრიალა მოსამართლემ და გარეთ გამოვიარდა. ან იმ ყვავს მომიყვანთ ცოცხალს, ან არადა, ჯარიმა ჩემი მოგყუებისათვის.
- რაღა ექნათ, წამოვიდნენ დაღონებულები. ეძებენ, მაგრამ ვეღარ პოულობენ იმ ყვავს, იმასდა ჩივიან:
- სამას წელს მაინც არ ცოცხლობდეს, საბუთი გვექნება, დაბერდა და მოკვდაო.
- დადიან და ეძებენ.
- ბუთულას რა ენადვლება, მოკვდა სიბერით.



ზურაბ ყიფშიძე - მკურნალობის ყიფშიძე



ყველა თაობის მკურნალებს თავისი კერპი ჰყავს. დროსთან ერთად, მსახიობთა ცვლის ბუნებრივი პროცესი მიმდინარეობს. გაფიქსირებული 1940-50-იანი წლების რუსთაველის თეატრი, როდესაც სცენაზე ორი ბუმბერაზი მსახიობი - აკაკი ხორავა და აკაკი ვასაძე ბრწყინავდა, სწორედ მათი გამოჩნდნენ ასპარეზზე: ეროსი მანჯგალაძე, ვიორჯი გუგუჯკორი, რამაზ ჩხიკვაძე, კარლო საკანდელიძე, გურამ საღარაძე. მათი შემოქმედება ახალგაზრდა მკურნალების ყოველდღიური ცხოვრების თანმდევი გახდა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ წინა თაობის დიდ ხელოვანთა დედაქანს ისინი უგულვებელყოფდნენ, მაგრამ ერთი თაობის მსახიობსა და მკურნალებს ბევრი სხვა რამ აერთიანებს. 50 წლის ზურაბ ყიფშიძეს, რა თქმა უნდა, ახალგაზრდა თაობას ვერ მივგავითვინებთ, თუმცა ამ შემთხვევაში სავსებით გამორჩეულ მოვლენასთან გვაქვს საქმე - იგი სწორედ ახალგაზრდობის, დღეს როგორც მოხსენიებენ, თინეიჯერთა ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი მსახიობია.

ზურაბ ყიფშიძე ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული. საინტერესო სამუშაო როგორც კინოში, ასევე თეატრში არ მოუღებია. როლიდან როლში სულ უფრო თვალსაჩინოდ იკვეთება



მსახიობის მდიდარი აქტიორული სამყარო. შესანიშნავ გარეგნობასთან, ელევანტურობასთან, მუსიკალურ და პლასტიკურ გამომსახველობასთან ერთად, განსაკუთრებით ვხიბლავთ გვირის გააზრების მრავალპლანიანობა, შესრულების სიღრმე და ნებისმიერი ეპოქის პერსონაჟის დღევანდელი მსახიობის დაკავშირება. იგი თანამედროვე შემოქმედია ამ სიგყვის ფართო ვაგებით, ამიგომაცაა ზურაბ ყიფშიძის ხელოვნება ყველა თაობის წარმომადგენლისათვის ერთნაირად მისაღები და ახლობელი.

პირველი წარმატება ეკრანულმა სახეებმა მოუტანა: კოკოჩა („იმას არ უნდა მოეკლა“), აფრასიონი („წუთისოფელი“); ეს როლები მან სასკოლო ასაკში განახორციელა და იმთავითვე ნათელი გახდა, რომ მისი სახით ქართულ კინოს ხალასი ნიჭისა და ინდივიდუალობის მქონე მსახიობი შეემატა. ეს ნიჭი კიდევ უფრო ვაიშალა და მრავალმხრივი ასპექტით წარმოჩინდა ლანა ლოლობერიძის ფილმში „როცა აყვავდა ნუში“ (ზურაბ), სადაც დრამატული სიმბაფრით ავითარებდა გამოუქმებული ოჯახის ეგოისტი ყმაწვილის გაორებულ შინაგან სამყაროს.

უთუოდ ბედმა გაუღიმა ზურაბ ყიფშიძეს, როდესაც აქტიორული გზის დასაწყისშივე შეხვდა გამოჩენილ რეჟისორსა და პედაგოგს მიხეილ თუმანიშვილს. მოსკოვის კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტის აღიარებული კინოსკოლის ვაფლის შემდეგ, მან თბილისის კინომსახიობთა თეატრის სცენაზე, შეიძლება ითქვას, თეატრალური ხელოვნების აკადემიის სრული კურსი გაიარა მ. თუმანიშვილის ბრწყინვალე სპექტაკლებში მონაწილეობით. მარტო მოლიერისეული დონე ქუანის დასახელებაც იმარებდა იმის დასტურად, თუ რაოდენ მაღალი კლასის არგისკად ჩამოაყალიბა დიდმა მაესტრომ ზურაბ ყიფშიძის თვითნაბადი გაღანგი. „დონ ქუანმა“ ტრიუმფით მოიარა მსოფლიოს ბევრი ქვეყანა და ამ წარმატებაში ლომის წილი მ. ყიფშიძის მამაკაცური ხიბლითა და სცენური შარმით აღსავსე დონ ქუანს შეჰქონდა.

ზურაბ ყიფშიძის, როგორც აქტიორის განსაკუთრებული მდგომარეობა მის შესაძლებლობათა მრავალმხრივობაში. მისთვის არ არსებობს გადაულახავი ზღუდე - ერთნაირი სიმსუბუქით ძღვეს სავსებით საპირისპირო ხასიათის პერსონაჟებს, იქნება ეს კომედიური თუ დრამატიული ფსიქოლოგიური. ლალი და ხალისიანი, დროსგარების დიდოსტაგ დონ ქუანის გვერდით იგი ქმნის სასტიკი და გულქვა ქვეყნის მმართველს ვარსქენ პიტიასის (ი. ცურგაველის „წამებაი დედოფლისა“) შთამბეჭდავ სახეს. მსახიობი ვარსქენს წარმოგვიდგენს არა მხოლოდ როგორც უზურპატორსა და უსულგულო ჯაღათის, არამედ მრავალ ადამიანურ სისუსტეთა მქონეს, მგრძნობიარე მამაკაცს, რომელიც სულის სიღრმეში იგანჯება მის მიერ მიღებული უკიდურესი გადაწყვეტილებების გამო. ამგვარი ინტერპრეტაციით ვარსქენი არ აღიქმებოდა როგორც გამოცვეთილად უარყოფითი გვირი, მას უთანაგრძნობდა მკურნალებელი.

ზურაბ ყიფშიძის აქტიორული ფენომენი რეჟისორთა საყოველთაო ყურადღებას იქცევს. მას უამრავი მოწვევა აქვს, ისიც სიამოვნებით თანამშრომლობს მათთან, თუკი როლის ბუნება მისთვის მისაღებია. მსახიობის შემოქმედებას განსხვავებული ფერი შემატა რობერტ სკურუას სპექტაკლში პედრო კალდერონის ფილოსოფიურ დრამაში „ცხოვრება სიმპარია“ სეხისმუნდოს როლის განსახიერებამ. რ. სკურუას რე-



ქისორული ამროვნება და სასცენო
ესთეტიკა არაორდინალურია. მუსი-
კალურ-პლასტიკურ ამოცანათა სირ-
თულე და მეგაფორულობა განსაზ-
ღვრავს აქტიორული შესრულების
არსს. მ. ყიფშიძის სებისმუნდოს სცე-
ნური ქმედება ორგანულად ერწყმო-

და სგურუასეულ სტილისტიკას, ადეკვატური იყო მეტყველების რიგში და ინტონაციები, სახის გააზრების
მოლიანი პარტიკულა.

მსახიობის შემოქმედებით მიღწევად უნდა მივიჩნიოთ მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე ბოლო
პერიოდში შექმნილი სახეები: მამია (ა. რეზას „...ხელოვნება“) და როგმისგრ ადოლფი (ა. სტრინდბერ-
გის „მამა“). ორივე სპექტაკლის დადგმა თემურ ჩხეიძეს ეკუთვნის. თემურ ჩხეიძე რომ დიალოგის
წარმართვის დიდოსტაგია, „...ხელოვნებაშიც“ დიდი ღონით შევივრძენით. თითქმის ცარიელ სცენაზე
სამი მსახიობი დგას და უწყვეტი შინაგანი დინამიკა მიუღი წარმოდგენის მანძილზე შენარჩუნებულია
მათი დახვეწილი და ფილიგრანული შესრულების წყალობით. ადოლფის („მამა“) ურთულეს სახეს მ.
ყიფშიძე ვირტუოზულად ჩაწვდა. იგი გამოყვეითდა იმ კაცის პიროვნული გრძელის შემზარავ რეალო-
ბას, რომელმაც ადამიანური მეობის შენარჩუნებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი თვისება - რწმენა
დაკარგა. რუსთავეის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე „ოქროს ნიღაბი“, ორივე დადგმამ და,
შესაბამისად მურაბ ყიფშიძემ, უმაღლესი ჯილდო „გრან-პრი“ დაიმსახურა.

ამას გარდა, მურაბს არაერთი სხვადასხვა სიხვის პრიზი აქვს მოპოვებული ფილმებსა თუ სპექტაკ-
ლებში, მაგრამ ყველაზე დიდი ჯილდო ხელოვანისათვის ხალხის სიყვარულია. ამ თვალსაზრისით
მურაბ ყიფშიძეს პირველობას ვერაფერ შეეცილება.



იყო გაზაფხულის დღია. ჰაერი – კამკამა და გამჭვირვალე. მე ვიდექი ათასფერადი ყვავილებით მოჩითულ ველზე და ცის დასალიერზე ავარდნილ უცნაურ ქარბორბალას ვუცქეროდი. იგი ფერადი იყო, ცისარტყელას შეიდივე ფერით გაწყობილი, ცეკვით მოდიოდა ჩემსკენ. მიახლოვდებოდა. ეს ადამის ხნის ცაცხვი მაშინ გავერანებული, გიალი და გაუბედურებული იყო. მე ამ ცაცხვის ძირში ვიდექი. ქარბორბალა მოდიოდა გრამალზე, უსაზღვროდ ბედნიერი, მზე-თუნახავი და უსაშველოდ მრავალფეროვანი. ველზე აღმოცენებულ ყველა ყვავილს ჰგავდა ერთად და ცალ-ცალკე. უცებ იგი ფაფუკი მანდილივით აფრიალდა და ტანზე შემოეხვია ცაცხვს. რაც შემდეგ მოხდა, ეს არ იყო სასწაული. სასწაული ის იქნებოდა, ასე რომ არ მომხდარიყო – შეიღწეროვანმა მანდილმა სინელლე აჩუქა ხეს და იგი ამწვანდა, აყვავდა. გაზაფხულდა, აბიბინდა, ამრიალდა. შეიღწეროვანი საოცრება ახლა უზარმაზარ პეპელად იქცა და მოშრიალე გოლიათის კენწეროზე აფარუაგდა.

– ჩამოდი მიწაზე! – ვთხოვე მე. ეს უფრო ნაგერა იყო, ვიდრე თხოვნა და პეპელა ჩამოფრინდა.

– თქვი რამე! – ვინაგრე ისევ. პეპელა შეიღწეროვანი კაბით შემოსილი უზარმაზარი თეთრი ბაბთებით გაწყობილ, ოქროსთმიან, ლურჯთვალა ვარდისფერ და გამჭვირვალე, ფეხშიშველა გოგონად იქცა. ჩემს წინ დადგა და გამიღიმა. შეიდი-რვა წლისა იქნებოდა.

– გამარჯობა! – მივესალმე ჩურჩულით, თან იმის შიშით, რომ ყოველივე ეს მოჩვენება არ ყოფილიყო და არ გამქრალიყო.

– გაგიმარჯოთ, ბაგონო ჩემო! – ეს ლაპარაკი არ იყო, ეს იყო სიმღერა, პაგარა მუსიკალური შედეგრი. შემდგომ, სადაც გოგონა ილაპარაკებს, ისე ჩათვალეთ, თითქოს ცისარტყელა მღერის.

– შენ ცისარტყელა ხარ? – ვკითხე მე.
– არა.

– გაზაფხული?
– არა.

– აბა, ვინა ხარ შენ, ან რა გქვია?
გოგონამ ისეთი სახელი მითხრა, რომლის მსგავსი არ არსებობს. ამიგომ ვერც ის დავიმახსოვრე.

– მაინც ვინა ხარ შენ?

– მე ყველაფერი ვარ. – ეს სიტყვა გოგონამ ორ სიტყვად იმღერა - „ყველა“ და „ყველაფერი“...

– როგორ ყველაფერი?
– ისე, - თქვა გოგონამ და გაუკვირდა, რომ ვერ მივხვდი.

გონებაში საშინელმა ეჭვმა გამიელვა.

– შენ სხვა პლანეტიდან ხარ მოფრენილი? – პასუხის მოლოდინში სისხლი გამეყინა. გოგონამ თანხმობის ნიშნად თავი დამიქინა. მაშინ მე გუჩზე ვიკბინე და როდესაც თბილმა სისხლმა გამოკონა, მივხვდი, რომ ყოველივე ნანახი ცხადი იყო და არა სიმზარი.

– რა ჰქვია შენს პლანეტას?

გოგონამ კვლავ ისეთი სახელი მითხრა, რომლის მსგავსი არ არსებობს, ამიგომ ვერც ის დავიმახსოვრე.

– როგორია თქვენი პლანეტა?

გოგონამ მხრები აიწურა.

– მთიანი, მღვიანი, ველიანი, კლდოვანი, თბილი, ცივი, თუ როგორი?...

– ისეთი, როგორიც მე ვარ!

– ფერადოვანი, გამჭვირვალე და უხორცო?

გოგონამ გაიცინა და კვლავ თავი დამიქინა თანხმობის ნიშნად.

– შორს არის თქვენი პლანეტა?

გოგონამ სიტყვა „შორს“ ვერ გაიგო, ამიგომ მაღლა ავიხედე და ხელით ვანიშნე...

– შორს... შოთორს..... – ასე გავაგრძელე.

ნოდარ დუმბაძე მონაცემები

– შოთორს, შოთორს... – გააგრძელა გოგონამაც და ხელი ცისკენ აიშვირა.

– ჩვენი ენა ვინ ვასწავლა? – ვკითხე.

– ახლა ვსწავლობ, – მი პასუხა.

– თქვენი ენა როგორია?

გოგონა გაუგონარი ხმით ამღერდა. სამყარო ამოდრავდა და დაირწა, მასთან ერთად მღეროდა ცაცხვი, ყვავილი, მიწა, წყალი, ჰაერი, მღეროდა ყველაფერი და მე ამ სიმღერაში ვიყავი ჩადირული, როგორც თევზი აქვარიუმში. იგი დაახლოებით ერთ წუთს მღეროდა.

– ეს არის თქვენი ენა? – ვკითხე ხმის კანკალით. გოგონამ თავი დაიქნია.

– მოგწონს? – მკითხა.

– ... და შენ ფიქრობ, რომ ამ ენის სწავლა ყველას შეუძლია?

– რა თქმა უნდა!

– მაინც როგორ?

გოგონამ კვლავ დაიწყო სიმღერა. ახლა იგი ხელს სხვადასხვა საგნებისაკენ იშვერდა, ალბათ მათ სახელებს თუ ამბობდა, და საგანი, რომელსაც ეხებოდა მისი ხმა, ფერს იცვლიდა და გოგონას ხმაზე მღეროდა, ეს ის განცდა და ნეგარება იყო, რომლის გამოც შეიძლება სიკვდილი ინაგრო, თუ გვეცოდინება, რომ ეს ნეგარება და განცდა სიკვდილშიც გაგრძელდება. გოგონა მიხვდა, რომ რაღაც მემართებოდა და ამიგომ ღუძღა.

– მოდი ჩემთან ახლოს, – ვთხოვე გოგონას. – იგი მომიახლოვდა.

– უფრო ახლოს მოდი, მინდა მოგეფერო და გულში ჩაგიკრა. შეიძლება?

გოგონა სულ ახლოს მოვიდა. მე მკლავები გაეშალე და გოგონა გულში ჩავიკარი. იგი თანდათან შემოვი- და ჩემს სხეულში და მე ახლა მას, როგორც სითბოს, ისე ვგრძნობდი გულთან.

– სად ხარ გოგონა? – ვთქვი მე და გული ყელში მომეზვინა, ისე როგორც ბაეშეებს ემართებათ ხოლმე საქანელაზე ქანობისას. გოგონა გამოვიდა ჩემგან და მკერდში სითბო დამიგოვა.

– აქ როგორ გაჩნდი, გოგონაე!

– დედას გამოეეპარე...

– მერე არ გეშინია?

– რისი?

– რომ დაიკარგო, დედამ რომ ვერ გიპოვოს?!

– როგორც კი მოვენატრები, მინატრებს და მიპოვის, – თქვა გოგონამ.

– სახლში წასვლა რომ მოგინდეს? როგორღა წახვალ?

– ვინატრებს და წავალ.

– ინატრებს და მეგი არაფერი?

– მეგი არაფერი, – ამისხნა გოგონამ. სიკვებმა „რაგომ“ და „როგორ“ აზრი დაჰკარგეს. ახლა, ამ წუთში ჩემთვის ყველაფერი ერთნაირად გასაგები და გაუგებარი იყო, ურთულესი და უმარტივესი ერთნაირად, ერთმანეთის გვერდით, გოლფურადოვნად არსებობდა ამ პატარა გოგონაში.

– დედამიწაზე პირელად ხარ? – ვკითხე.

– პირველად.

– სხვა პლანეტაზე თუ ყოფილხარ?

გოგონამ თავი დაიქნია.

– სიცოცხლე თუ შეგხვედრია სადმე?

პასუხის მოლოდინში კვლავ გამეყინა სისხლი და სუნთქვა შემეკრა.

– ძალიან ბევრ პლანეტაზე, ბაგონო, – გამიღიმა გოგონამ.

– ასეთი, როგორიც ჩვენთან?

– სულ ნაირ-ნაირი ბაგონო, – გოგონამ ხელები გაშალა და მისი სხეულივით გამჭვირვალე ცას ახედა.

– მაინც?

– არ ვიცი, მე სადაც მივიღვარ, ისეთი ვხდები, როგორი სიცოცხლაც იქ მხვდება...

ღუმილი ჩამოვარდა.

– შენ ვინა ხარ? – მკითხა უცებ გოგონამ. ეს კითხვა იმდენად მოულოდნელი იყო ჩემთვის, რომ დავიბენი.

– მე... შენ არ იცი, მე ვინ ვარ? – ვკითხე გაკვირვებულმა.

გოგონამ უარყოფის ნიშნად თავი გაიქნია და მხრები აიჩეხა.

– ...მე ვარ მე ხორციელი, ადამიანი, ეს არის ჩემი დიდი სახლი – დედამიწა. ვსაზრდობ წყლით, ჰაერით,

მზით, ხორციითა და მცენარით...

– შენ თვითონ ვინა ხარ?!

– აკი გითხარი, ადამიანი. მყავდა მშობლები, იმათ თავიანთი მშობლები ჰყავდათ, იმათ კიდეც – თავიანთი.

იმათ თავიანთი. იმათ თავიანთი და ასე შემდეგ...

– როლემდე?

– არ ვიცი,

– ესე იგი, შენ არ იცი, ვინა ხარ!

– არა! – გამოვკყდი მე. – გოგონას ისევ გაელიმა.

- აქ რას აკეთებ? - მკითხა და გარემოს მოავლო თვალი.

- აქა?... აქ არაფერს, ისე ვდგავარ... მე ვარ ავად. იცი შენ, რა არის ავადმყოფობა, ესე იგი ცუდად ყოფნა? მე ვარ ავად და აქ, ამ ყვავილოვან ველზე, ამ ბებური ცაცხვის ძირში, შენ რომ ახლა სინელლე დაუბრუნე, ყოველ დილით გამოვდივარ სასეირნოდ, სუფთა ჰაერზე, რათა გამოვჯანსაღდე და კვლავ დავიბრუნო ძველი სინელლე, ისე როგორც ამ ცაცხვმა დაიბრუნა.

- რა გჭირს? - შეწუხდა გოგონა.

- მე ძალიან მძიმე ავადმყოფობა გადავიგანე. გულის ავადმყოფობა. შენ იცი, რა არის გული?

- მე მაქვს გული, მაცოცხლებელი გული, როგორც ყველა ადამიანს, ისე, და მე ეს გული გამიგება, გამებზარა ამ რამდენიმე წლის წინ. აი, ნახე.

გოგონამ თავისი ლამაზი, ვარდისფერი ხელი გულზე დამადო და მე კვლავ ვიგრძენი სითბო გულთან.

ჰოდა, მე ახლა ყოველდღე დავდივარ ამ ყვავილოვან ველზე, რათა გული გამიმთელდეს. მე ახლა ცოგა უკეთ ვარ, მაგრამ დავიბრუნებ კი იმ ძველ სიმწვანესა და სინელლეს?...

გოგონამ არაფერი არ მიპასუხა. კვლავ ხელი შემახო მკერდზე.

- თქვენ არ ხდებით ავად? - ვკითხე.

- როგორ არა, - გამიღიმა მან.

- თქვენ რაღა გემართებათ?

- ფერს ვკარგავთ, ვუფერულდებით, ვფითრდებით.

- მერე როგორ წამლობთ ერთმანეთს?

- ფერს ვაძლევთ ერთმანეთს, ვეფერებით. ერთმანეთის ფერებაში გადავდივართ.

- როდემდე?

- დღემუდამ და ბოლოს მარადიულ ფერში გადაგვყავს ერთმანეთი, ჩვენი პლანეტის სახელი თქვენს ენაზე დაახლოებით ასე ითქმის - მარადიული ფერების პლანეტა, კარგია?

- საოცარი!

გოგონას კმაყოფილებისგან ლურჯი თვალები აუციმციმდა. უცებ ველი შეირხა. ყვაილები გაფერმკრთალდნენ, ცაცხვი წითლად აინთო, ცისკიდური განირაღნდა და აბრიალდა. ეს იყო რაღაც მსგავსი ჩრდილოეთის ციალისა, ენით აუწერელი სანახაობა. ისეთი, რომლის მაგვარს მხოლოდ სიმშრად ნახულობენ, ან ზღაპარში ისმენენ.

- დედა ჩემი, - თქვა აღგაცხებულმა გოგონამ და ციალისაკენ შებრუნდა... და უცებ თვალუწვდენელი გრამალი გასაოცარმა ჰანგმა მოიცვა. მე არ შემძლია იმ ჰანგის გაღმაცემა, თვითონ წარმოიდგინეთ, თუ შეგიძლიათ, დედამიწაზე არსებული ყველა ყვაილი მის მსგავსს მუსიკალურ საკრავად რომ იქცეს და გამოსცეს ყველაზე საამო და ფაქიმი იმ ჰანგთა შორის, რომელიც მას გააჩნია, სწორედ ისეთი. ეს იყო ბუნების დიადი ჰანგი, ეს იყო სამყაროს დიადი სიმთვრალე, ეს იყო მარადიულ ფერთა ქვეყნის, ორი ციალის, ერთმანეთს მონაგრებული დედისა და შვილის საუბარი. არ მახსოვს როდემდე გაგრძელდა დედა-შვილის საუბარი, გონს რომ მოვედი, დიდი ციალი გამქრალიყო და ჩემს წინ კვლავ ჩემი ნაცნობი ლურჯთვალა, გამჭვირვალე გოგონა იდგა და მიღიმოდა.

- მშვიდობით, ადამიანო! - მითხრა მან.

- მიდიხარ? - ვკითხე და გირილი მომინდა.

- უნდა წავიდე, დედა მეძახის.

- წამიყვანე, ჩემო პატარა, ლამაზო გოგონა, შენი მარადიული ფერების ქვეყანაში, წამიყვანე თან, შენ შემოგველე...

- კი მაგრამ, ლაგოვებ შენ შენს სახლს და წამოხვალ ჩემთან, ადამიანო? - გაუკვირდა გოგონას.

- თუკი გული არ გამიმრთელდება და მაინც უნდა მოვკვდე, განა სულ ერთი არ არის ჩემთვის?... წამიყვანე, ვიდრე მოვმკვდარვარ, გავხრწნილვარ და კვლავ მიწად ვქცეულვარ, მომეცი ფერი შენი, ჰაეროვნება შენი, უკვდავება შენი, და წამიყვანე. მე მეშინია სიკვდილის... წამიყვანე! - ვთხოვე და მის მუხლებზე დავეშვი.

- მე არ შემძლია შენი წაყვანა, ადამიანო, - სინანულით გაშალა პატარა ხელები გოგონამ.

- რაგომ? - დავლონდი მე.

- იმიტომ რომ შენ ხარ ძე ხორციელი, შენ არ ხარ არც ფერი, არც ნაგვრა და როდესაც იქცევი ფერად და ნაგვრად, მხოლოდ შემდეგ შემეძლება მე გინაგრო შენ და მხოლოდ მაშინ შეგეძლება შენ ჩემთან მოსვლა.

- მინაგრე! - ვთხოვე მე.

- როგორ გინაგრო, როდესაც აქა ვარ შენთან ერთად? - გაუკვირდა გოგონას

- იქ მინაგრე, შენს მარადიულ ფერთა ქვეყანაში. თუ მომენაგრე, ოღონდ მანამდე თავად შენ უნდა იქცე ფერად და ნაგვრად.

- როდისღა, როდის?!

- ეგ შენმა დედამ მიწამ უნდა იცოდეს.

- და შემდეგ კი მინაგრებ?

- გინაგრებ.

- გმადლობთ, - ვთქვი მე და წამოვდექი, გოგონა ფერად ნიავად დაირხა.

- მოიცა, არ წახვიდე, თუ შეიძლება ერთხელ კიდევ ჩაგიკრავ გულში და მოგეფერები.

გოგონა მომიახლოვდა. მე მკლავები გავშალე და გულში ჩავიკარი. იგი კვლავ შემოვიდა ჩემს სხეულში და მე ახლა მას, როგორც სითბოს ისე ვგრძნობდი მკერდში დიდხანს, დიდხანს ვიყავით ასე გაგრუნული თითქოს სულ მუღამ, მრავალ და მრავალ საუკუნეთა მანძილზე ასე გვეცხოვროს, მერე გავცალკევებულიყავით და მრავალ საუკუნეთა შემდეგ კვლავ გვეპოვოს ერთმანეთი. ბოლოს იგი გამოვიდა ჩემგან. ამჯერად მისი გამოსვლა როგორც ტკივილი, ისე ვიგრძენი მკერდში და გულზე ხელი დავიდე.

- რა მოგივიდა? - მკითხა გოგონამ. - მე მომეჩვენა, რომ იგი მიხვდა, რაც მომივიდა და მაინც მკითხა.
- არაფერი, ჩემო კარგო, ნახვამდის!
- მშვიდობით ბრძანდებოდეთ, ბაგონო! - თქვა გოგონამ და ხელი დამიქნია.

... მერე ყველაფერი თავიდან დაიწყო, ოღონდ უკუღმა. გოგონა ჯერ უზარმაზარ, შვიდფეროვან, გამჭვირვალე პეპელად იქცა, შემდეგ ათასი ფერით ნაქარგ ფაფუკ საყელოდ, მერე ველად გაიჭრა და ქარბორბალად დაგრიალდა. იგი მიდიოდა ჩემგან ლამაზი რხევით, ისე როგორც უსაზღვრო ბედნიერებისაგან მოცეკვავე და მოძღვრალი მინდვრის დელოფალი უსაშველოდ მრავალხმოვანი და მრავალფეროვანი. იგი ველზე აღმოცენებულ ყველა ყვავილს ჰგავდა ერთად და ცალ-ცალკე. ბოლოს გაქრა ცის დასალიერზე, როგორც განუმეორებელი სიმბარი, სიმღერა და ფერთა ციალი, გაქრა, წავიდა და მხოლოდ ეს, მწვანე ამრიალებული ცაცხვიდა დამიგოვა თავისი არსებობისა და უკვლავების ნიშნად.

* * *

- შენ მართლა გახსოვს ეს ცაცხვი გამხმარი და გიალი? - მკითხა უფროსმა ქალიშვილმა, ამბავი რომ დავამთავრე, და ცამდე აზიდულ, სიცოცხლით სავსე, ვეებერთელა, მოშრიალე ცაცხვს ახედა... და როდესაც თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე, ძლივს შესამჩნევი ღიმილით თვალი უმცროსი დისკენ გააპარა.

- მერე? - მკითხა უმცროსმა და მღელვარებისაგან გამშრალი გუჩები ენის წვერით გაილოკა.

- მერე, მე სამი დღე და ღამე ვიწევი ამ ველზე გულაღმა და ყვავილებში ჩარჩენილ იმ ფერთა საოცარ სიმღერას ვისმენდი, მე ახლაც მესმის ის ჰანგი სუსტად. თქვენ არ გესმით? - ვკითხე შვილებს. ბავშვებმა ველს მიაყურადეს, მერე სინანულით გაიქნიეს თავი - არაო;

- აბა, ყვავილებში დაწევი გულაღმა და კარგად მიაყურადეთ, - ვუთხარი, ბავშვები გულაღმა გაწვენ ყვავილებში, თვალები დახუჭეს და სმენად იქნენ. ასე იწვენ გაუნძრევლად, თითქმის ხუთი წუთი და ხმის ამოღებას ვერ ბედავდნენ.

- გესმით? - ვკითხე ბოლოს.

- არა! - თქვა უმცროსმა.

- მესმის, ოღონდ ძალიან შორიდან და ძალიან სუსტად, - თქვა უფროსმა.

- არა უშავს, მთავარია რომ გესმის.

- შენს გარდა თუ უნახავს ვინმეს ის გოგონა? - მკითხა უფროსმა.

- არავის. ვისაც არ ვკითხე, ვისაც არ მოვუყევი, არავის არ უნახავს. არც არავის სჯერა...

- დედას?

- რა დედას?

- დედას თუ სჯერა? - მკითხა უმცროსმა.

- არა.

- რაო დედამ?

- დედამ თქვა, რომ მე გავგიჟდი... რაო, თქვენთვის ხომ არ უთქვამს? ბავშვებმა თავი დახარეს.

- არც თქვენ გჯერაო? - ვკითხე ბავშვებს. ბავშვებმა ერთმანეთს გადახედეს და როდესაც მათი თვალები შეხვდნენ ერთმანეთს, უცებ მომიბრუნდნენ და თანხმობის ნიშნად თავი დამიქნიეს, ოღონდ-კიო, არც ერთს არ უთქვამს. კვლავ დუმილი ჩამოვარდა. და როდესაც მე არაფერი ვთქვი, დუმილი უფროსმა დაარღვია.

- მერე რა მოხდა?

- არაფერი. მას შემდეგ მე ყოველ გამაფხულს, თითქმის ყოველდღე, გამოვივარ ამ ყვავილებით მოჩითულ ველზე, ვღვები ამ ათასწლოვან ცაცხვის ძირში, გავცქერი სივრცეს და ველოდები, როდის მოვინაგრები ჩემს პაგარა მეგობარს, როდის გამოჩნდება ცის დასალიერზე უღამაზეს შვიდფეროვან ქარბორბალად, როდის მოვა და როდის წამიყვანს...

ამჯერად დუმილი უსაშველოდ დიდხანს გაგრძელდა.

- მოვინაგრები, მოვა და წავიყვანს! - თქვა ბოლოს უფროსმა გამქრალი ხმით.

- ჩვენ?! - ეს უმცროსმა იკითხა

- თქვენ, რა?

- მერე, ჩვენ რა ვქნათ?! - და რომ შევხედე, უზარმაზარი თაფლისფერი თვალები აუარება ცრემლით ჰქონდა სავსე. ქვედა გუჩი მოპრანჭვოდა, გვერდზე მოქცეოდა და ნიკაპი უკანკალებდა.

მარცხენა ძუძუს ქვეშ რაღაც ამეწვა. მივედი, მკლავები გავშალე და გულში ჩავიკარი. ჩავიკარი და გავოცდი, იგი თანდათან შემოვიდა ჩემს სხეულში და მას ახლა, როგორც სითბოს, ისე ვგრძნობდი გულთან.

ნაშთი ძველი ციხეებისა

წერილი პირველი



ქართული საერო არქიტექტურა ჩვენში არსებული არქიტექტურული ხელოვნების ერთ-ერთი თვითმყოფადი მაღალმხატვრული გამოვლინებაა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საკულტო ნაგებობების აღდგენა ეროვნული ღირსების და სახელმწიფო-ბრივი ზრუნვის საგანს წარმოადგენდა, ხოლო საცხოვრებლის, თუნდაც მეფეთა სასახლის თავდაპირველი სახით აღდგენას მათი მეპატრონენი ხშირად ახლის აშენებას ამჯობინებდნენ ახალი დროის მოთხოვნათა შესაბამისად. ამგვარმა მიდგომამ საბოლოოდ წაშალა პირველსახე თითქმის ყველა შუასაუკუნეებრივი საცხოვრებლისა საქართველოში. შემოგვრჩა მხოლოდ ცალკეული, ისიც არა ცენტრალური რეზიდენციები და მათი განვითარების ხაზი საკმაოდ ბუნდოვნად იკვეთება ისტორიის სიღრმეებიდან.

„ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების საერთო სურათის აღსადგენად უდიდესი მნიშვნელობა აქვს სწორედ საცხოვრებელთა თავისებურებების დადგენას, როგორც ამა თუ იმ ისტორიული პროვინციის, ისე მთლიანად საქართველოსი“ - თვლიდა ქართული სახელოვნებათმცოდნეო სკოლის დამაარსებელი გიორგი ჩუბინაშვილი ჯერ კიდევ XX საუკუნის 30-იან წლებში.

ჩვენი პუბლიკაციის მიზანია შევავსოთ საერო არქიტექტურის განვითარების ისტორია XX ს. ერთი, ჯერ კიდევ ნაკლებად შესწავლილი დარგით, რომელსაც წარმოადგენს ქართველ თავადაზნაურთა მამულების ხუროთმოძღვრება.

სამწუხაროდ, ამ ნაგებობების ნაშთები მთელს ქვეყანაში ნაკლებად შემოგვრჩა, რისი მიზეზიც სხვა ფაქტორებთან ერთად, ამ ფენის მიმართ გატარებული მიზანდასახული განადგურების პოლიტიკა გახლავთ, მე-XX-ე საუკუნის დასაბამიდან სოციალისტური ხელისუფლება რომ ეწეოდა.

თუ დასავლეთ ევროპაში აღორძინების დროიდან, რუსეთში კი პეტრე I-ის შედგომ იწება საცხოვრებლისა და ციხე-სიმაგრის ის გამიჯვნა /ფონტენბლო, ვერსალი, პეტერპოლი, სასახლეები და არა ციხე-დარბაზები, საქართველოში მისი ისტორიული და სოციალური ვითარების წყალობით თვით XX საუკუნემდე ფეოდალის სასახლე ვერ გაემიჯნა ციხე-სიმაგრეს, ვერ უგულველყო სათავდაცვო ფუნქცია.

ამდენად, მხოლოდ მკვეთრად შეცვლილმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა ვითარებამ აიძულა ქართველი წარჩინებულნი თავიანთი ციხე-დარბაზების დათმობა და მათი გადასხვაფერება დროის მოთხოვნათა შესაბამისად წარემართათ.

ასე, რომ აღმატებული წოდება „სასახლისა“ მართალია, ნაკლებად შეესაბამება ევროპული გაგებით ამ სიტყვის შინაარსს, თუნდაც შედარებით მოკრძალებული ზომების, ნაკლები იმპოზანტურობისა თუ მწირი მორთულობის გამო. მაგრამ შინაარსით, სწორედ ეს ნაგებობები თავიანთი ევროპული თუ რუსული პროტოტიპების ფუნქციური დანიშნულებით იძლევა საერო საცხოვრებლის საკვებით მისადაგებულ სურათს.

საქმე გვაქვს ახალი არქიტექტურული სტილის იძულებით დაწინაურების არა მექანიკურ მშრალ პროცესთან, არამედ, მისი მხატვრული გადაამუშავებისა და ადგილობრივ სამშენებლო ტრადიციასთან შესაბამისობაში მოყვანის ძალზე ცოცხალ შემოქმედებასთან, რომლის შემდეგაც მივიღეთ XX ს. თბილისის, თელავის, ქუთაისის, ბათუმის თუ სხვა ქალაქებისა და სოფლად ცალკეული ნაგებობების განუმეორებელი ხიბლის მატარებელი არქიტექტურული განაშენიანება.

საერო არქიტექტურის, კერძოდ, საცხოვრებლის კვლევისას მრავალი საგულსხმო საკითხია გასათვალისწინებელი. უპირველესად, სტილურ და სოციალურ-ეკონომიკურ წანამძღვრებთან ერთად, მისი უშუალო დამკვეთის სახლის მეპატრონის პიროვნული მახასიათებლებიც. თითქოს ყოველი ასეთი ნაგებობა თავის არსში გაცხადებულს ხდის არა მხოლოდ ეპოქის ურთიერთსაპირისპირო მიმართებებს, არამედ თითოეული

კონკრეტული პიროვნების მსოფლმხედველობის, გემოვნებისა და მხატვრული ხედვის თვალსაჩინო მაგალითია. ქართველი არისტოკრატიის საცხოვრებლის არქიტექტურაზე მსჯელობისას მკვლევარი პარმენ ზაქარაია აღნიშნავდა რომ „საცხოვრებელში აშკარად ვლინდება კლასობრივი საზოგადოების ფენების თავისებურებანი. შემორჩენილი ძეგლები საშუალებას რომ გვაძლევდეს ყოველი ეპოქის ნაგებობები მთლიანობაში წარმოვიდგინოთ, მაშინ სოციალური ფენის თავისებურებათა წარმოჩენა ძნელი არ იქნებოდა, აქვე დავეძინოთ, რომ შემორჩენილ ფრაგმენტებშიც კი შეიმჩნევა ქვეყნის ეკონომიკური თუ პოლიტიკური მდგომარეობა, საცხოვრებელი სახლის საზოგადოების ქვედა თუ ზედა ფენის წარმომადგენელი რომ აგებდა კონკრეტულ პირობებში, დროის აუცილებელ მოთხოვნათა შესაბამისად“.

XX საუკუნის სასახლეებიც ამ აზრის საუკეთესო ილუსტრირებაა. ერთის მხრივ ისინი ჯერ კიდევ ინარჩუნებენ მათი წინამორბედი საერო არქიტექტურის ზოგად ნიშნებს და ამასთან ნელ-ნელა თავისუფლდებიან ე.წ. „ყიზილბაშური“ სტილისაგან.

ქართული საერო არქიტექტურის ეს დარგი ძალზე საინტერესოდ და არტისტულად ითვისებს ევროპიდან შემოსულ ახალ რეპერტუარს, ადვილად ეთვისება ახალ მიმდინარეობებს, რადგანაც მთლიანად ქვეყანასთან ერთად თავისი ორგანული განვითარების გეზს უზრუნდებდა. ამ პროცესის თვალსაჩინო დადასტურებაა ქართველ თავადაზნაურთა მიერ თავიანთ ადგილ-მამულებში წარმართული აღმშენებლობითი საქმიანობა.

მცხეთის რაიონში რამდენიმე ასეთი მამული შემორჩა. მათ შორის უდაოდ გამორჩეულია მუხრან ბატონების სასახლე მუხრანში.

ბაგრატიონების ეს შტო გვიანშუასაუკუნეებში ჩამოყალიბდა. 1512 წელს ქართლის მეფის დავითის უმცროსმა ძმამ ბაგრატიმ მუხრანის მხარე საუფლისწულოდ მიიღო, რითაც სამეფო მამული-სათავადოდ აქცია.

მუხრანბატონთა შტოში მოღვაწეობდნენ მნივნილოვანი და პოეტები ბაგრატი, ბარბარე და გრიგოლ მუხრანბატონები. ბაგრატიონთა ამ შტოს ქართლის სამეფო ტახტიც სჭერია /ვახტანგ/ შაჰნავაზ, გიორგი X, ვახტანგ V, იესე, I: XXს. ორმოციან წლებში რუსებმა გააუქმეს სამუხრანბატონო.

შიდა ქართლში ყველაზე ძლიერ ფეოდალებსაც ბაგრატიონთა შთამომავლები წარმოადგენენ.

XX ს. ბოლოსათვის მუხრან-ბატონთაგან ყველაზე მსხვილი მემამულე ივანე კონსტანტინეს ძე მუხრან-ბატონია, რომელიც 30 ათასამდე „დესეტინა“ მიწას ფლობდა.

ივანე კონსტანტინეს ძე მუხრან-ბატონი /1809-1895/ ერეკლე მეორის შვილიშვილის ქეთევანის მეუღლე იყო. რუსეთის არმიასი სამსახურით გენერალ-ლეიტენანტის წოდებას მიაღწია. გენერალი ივანე მუხრან-ბატონი იცავდა სამეგრელოს თურქთა შემოსევებისაგან. სწორედ მას აუგია მუხრანში მდიდრული სასახლე დიდებული პარკითა და შადრევნით. 1876 წელს საფრანგეთიდან ჩამოიყვანა ფრანგი მეღვინე ემილ ჟანი, დაისმარა ცნობილი ქართველი მეღვინე ზაქარია ჯორჯაძე და მუხრანში დააფუძნა ღვინის ქარხანა, რომელშიაც საქართველოში პირველს დაუწყია ღვინის ევროპულ ყაიდაზე დაყენება, მისმა ღვინომ, რომელიც საქვეყნოდ იყო განთქმული 1882წ. ჯილდოდ მიიღო სახელმწიფო ღერბი, ხოლო ივანეს ვაჟიშვილმა კონსტანტინემ მუხრანში გააშენა ვაზის ამერიკული ჯიში. მის მიერ დაწესებული სტიპენდიით არა ერთი ქართველი ახალგაზრდა სწავლობდა, მათ შორის აკადემიკოსი ნიკო კეცხოველიც.

ივანე მუხრან-ბატონის შემოსავალი ყოველწლიურად იზრდებოდა და 300 ათას მანეთს აღწევდა. „მართალია ამას დიდი კაცის შვილობაც შესწევდა ამბობს ალ. ორბელიანი მაგრამ, მისი უმეტნავესი ღირსება იყო ნიჭი“.

მუხრანის სასახლის ზომებია 53მX41მ-ზე, ნაგებია გარედან შეღესილი აგურით. დგას მაღალ ცოკოლზე.

სასახლის მაღალი კორპუსი ორსართულიანია, ხოლო აღმოსავლეთ კიდეში მას სამსართულიანი კოშკი აგვირგვინებს. დასავლეთით ორსართულიანი ნახევრადწრიული ერკერია. ამ ორ ასიმეტრიულ მოცულობას შორის მოქცეულ კიბეს განიერ ტერასაზე აყვავართ. კიბის პირდაპირ მთავარი შემოსასვლელია პოლით, რომელიც სათავსოებსა და სამეჯლისო დარბაზს უკავშირდება.

დარბაზს ჩრდილოეთით ნახევრადწრიული „აფსიდი“ აქვს, რომელშიაც სცენაა მოწყობილი.

მეორე სართულზე მდებარე ტერასის ლოჯია თავდაპირველად შემინული ყოფილა. სასახლის ორივე სართულზე ოთახები და დარბაზები ურთიერთს მრავალი გადასასვლელით უკავშირდება. ბევრია ღია ტერასაც. ყოველი სათავსო დიდი ზომის ფანჯრებით ნათდება, სწორედ ეს დიდი ზომის ფანჯრები ქმნის სასახლის ფასადზე მთავარ მხატვრულ აქცენტს.

სასახლეს აგვირგვინებს კაზმული-პარაპეტი, რომელიც მას განსაკუთრებულ საზეიმო იერს ანიჭებდა.

სამწუხაროდ, ჯერ ვერ მოხერხდა ამ უნიკალური ნაგებობის ავტორის დადგენა /თუ მუხრან-ბატონის შესაძლებლობებს გაკითვალისწინებთ, სავსებით შესაძლებელია უცხოეთიდან ჩამოყვანილი არქიტექტორი იყოს/, ყოველ შემთხვევაში იმ დროს XXს. 80-იან წლებში თბილისში მოღვაწე არც ერთ ცნობილ არქიტექტორს არ ახასიათებდა ამგვარი არქიტექტურული დეტალების გამოყენება.

საბედნიეროდ, თხუთმეტიოდე წლის წინ „ქართული ენციკლოპედიის“ მიერ შედგენილი აღწერილობის ნუსხისათვის შესრულებული იყო ნაგებობის აზომვითი ფოტოფიქსაციისა და აღწერილობითი სამუშაოები /ავტორი არქ. თამაზ დვალი/. ძეგლის დღევანდელ მდგომარეობასა და 15 წლის წინანდელ ფიქსაციას შორის უკვე რადიკალური განსხვავებაა. ნაგებობა მთლიანად გაძარცვულია ხის დეტალებისაგან, ამოგლეჯილია კარ-ფანჯარა, ფასადის შემკობის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი ხისავე ჟალუზები. აყრილია შესანიშნავი ინკრუსტირებული პარკეტი, დაზიანებულია ნაგებობის სახურავი და მრავალ ადგილზე წყალი ჩამოდის. როგორც დავინახეთ ეს უდაოდ დასავლური, ზოგადევროპული მიმართულების ნაგებობაა, რომელზედაც საერო სახის გარდა მრავალი კერძო დეტალი და დეკორაციის ელემენტებიც მიუთითებს.

ეს სასახლე თითქოს არაფრით თავსდება ჩვენი საერო არქიტექტურის განვითარების ხაზში, მაგრამ



თვით ის ფაქტი, რომ ქართლის უდიდესი მემამულე ასეთი სახის საცხოვრებელს იშენებს, ნიშანდობლივი და მრავლის მთქმელია. ამ ფაქტს უშუალო სიახლოვე უნდა ჰქონდეს თავად ივანე მუხრან-ბატონის პიროვნებასთან, რომელიც, როგორც ვთქვით, საერთოდ ევროპისაკენ ორიენტირებული ადამიანი იყო, თუნდაც მისი სამეურნეო მოღვაწეობის მიხედვით. ამდენად მის მიერ ამგვარი საცხოვრებლის აშენება თანხედრი იყო სახელმწიფოს პოლიტიკურ ორიენტაციასა და ქვეყანაში ახალი მსოფლმხედველობის დაფუძნებასთან.

ამასთან, სასახლის არქიტექტურა სავსებით ესადაგება სამხრეთული ქვეყნის კლიმატურ პირობებს /დიდი ზომის სარკმლები, ლოჯიები და ღია ტერასები/. ტრადიციული „ქართული წყობით“ არის ნაშენი სასახლის სარდაფები და ღვინის ქარხნის შიგთავსი. ასე რომ მუხრან-ბატონის სასახლე გამოხატავს რა დამკვეთის გამოგნებასა და სურვილს, ხაზგასმულად არატრადიციული, მაგრამ საერო ცხოვრებისათვის და ახალი დროების შესაფერ მრავალმხრივ მოსახერხებელ და მოხდენილ არქიტექტურას წარმოადგენს.

ამ კერძო შემთხვევაში უკვე არქიტექტურის მაგალითზე ნათელი ხდება მამულისშვილთა მოღვაწეობის, მათი ქვეყნის მსახურებისა და ქვეყნის გარდაქმნა-გამშვენიერების კიდევ ერთი წახნაგი, შესანიშნავი თავისი შინაგანი ღირსებითა და ფორმის ჩამოქნილობით.

ეს სასახლე და ამგვარი ნაგებობები ღირსეულ ეპიტაფიად ადგას ქართველი თავად-აზნაურების ხსოვნას, ხილული მაგალითია უზომო ღვაწლისა და გონიერებისა.

იმ ეპოქის ქართველი თავადაზნაურების მხატვრული პორტრეტის შესახებ მსჯელობისას მკვლევარი მ.ციციშვილი გამოთქვამს აზრს, რომელიც იდენტურად ჟღერს როგორც მთის ფერწერულ, ასევე არქიტექტურული ხატისათვის.

„თითქოს ის ქვა, რომელიც ქართველმა შემოქმედებმა ხელოვნების სამსხვერპლოზე დადეს, ერთის მხრივ საფლავის ქვა იყო უძველესი ქართული არისტოკრატიისა და

მეორეს მხრივ საფუძვლის ქვაც, რომელზედაც დაყრდნობით, შემდგომში უნდა გაეგრძელებინა არსებობა ამ ხალხს, მათთვის უკვე უცნობ ხარისხში, მაგრამ რწმენითა და სასოებით, გადარჩენისა და წინსვლის იმედით“.

წარმოვიდგინოთ საშინაო თეატრებით, ბიბლიოთეკებით, ევროპული ბაღებითა და ღვინის ქარხნებით და სხვა პროგრესული მეურნეობებით გამდიდრებული ეს ძველისძველი ადგილ-მამულები, როგორ სისხლსავსე ცხოვრებას ეწეოდა, გავაანალიზოდ სიძლიერე მუხტისა, რომელიც ამგვარ ცხოვრებისეულ მაგალითს უნდა მოეტანა ქვეყნის პროვინციისათვის, მაშინ ნათელი გახდება რამდენად ტევად კულტურულ მოვლენასთან გვექონია საქმე და რა დიდად დასანანი ამ პროცესის ისეთი მექანიკური და უხეში წყვეტა ისტორიის უკუღმართობამ XX საუკუნის დასაწყისშივე რომ მოახდინა. მით უფრო სავალალოა ჩვენს მიერ სრულიად მივიწყებული და უმეტესად ბედის ანაბრად მიტოვებული ამ შესანიშნავი კულტურის სავანეთა მდგომარეობა, რამაც უმეტესი წილი ამ მამულებისათვის თითქმის, სრულ განადგურებამდე მიიყვანა.

ჩვენი პუბლიკაციის უპირველესი მიზანია მკვლევართა და ფართო საზოგადოების ყურადღების მიპყრობა ამ ისტორიულად ძალზე მნიშვნელოვანი და მხატვრულად მაღალი ესთეტიკური ღირებულების მქონე არქიტექტურული ძეგლებისადმი, რათა გამოინახოს საშუალებანი მათი აღდგენა-რესტავრაციისა და მათთვის ღირსეული ფუნქციის მინიჭებისა სასახლეებისა თუ კულტურის ცენტრების სახით.

რაც შეეხება ივანე მუხრან-ბატონის სასახლეს, ეს შესანიშნავი ნაგებობა არა მხოლოდ არქიტექტურული მემკვიდრეობის ძეგლად არის აღსადგენი, არამედ მასში შესაძლებელია განთავსდეს საქართველოში ღვინის კულტურის მუზეუმიც, რაც არა მხოლოდ სტატიურ ექსპოზიციებს, არამედ საინტერესო გააზრების შემთხვევაში საქმედაც შესაძლოა იქცეს. საქართველოში მეღვინეობის აღორძინებით დაინტერესებულ პირთათვის. /თუ, რა თქმა უნდა, ამგვარი პირი დაეყრდნობა სპეციალისტების აზრს ნაგებობის სახის ღირსეული აღდგენისას და არა ზედაპირულ პროფანაციას მოახდენს.

ჩვენ ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ XX საუკუნის თაობების თვალწინ არ განადგურდეს საბოლოოდ ეს ძალზე მნიშვნელოვანი ნიმუშები ჩვენი ერის კულტურისა. და რადგან ქვეყანა, ბერი და ერია ერთად, იქნებ იმ ადამიანებმა, რომელნიც ახალი ეკლესიების აღმშენებლობისათვის ამდენს იღვწვიან, საერო ნაღვანსაც მიაქციონ ყურადღება, ისიც ხომ ღვთიური შეგონებით არის შექმნილი ჩვენი წინაპრების მიერ, მხოლოდ წარსულის პატივისცემითა და მისი გაცოცხლების შედეგად მოგვეცემა საშუალება, ვიფიქროთ ღირსეულ დღევანდელ დღესა და მომავალზე.

ნიკოლოზი, პოეტი უგუნურთა და ბაიძვირთა ბაბო

ბევრი უგუნური ამბობს, იესო თავის გზას ადგა, მაგრამ საკუთარ თავსვე ეწინააღმდეგებოდაო; თავის თავს არ იცნობდა და ამიგომ დაბნეული იყო.

ბევრი ყვავევითაა, ჰანგს არ ცნობს გალობად, თუ ყრანგალს არ ჩამოჰგავს. თქვენც იცნობთ და მეც ვიცნობ გაქნილ გაიძვერებს, ლაქარდიანი ენა რომ აქვთ და პატივს რომ მიაგებენ მხოლოდ მაიმუ უფრო ენააღმოსილი. ეგენი ბამბას ახსრიალებენ და ოქროდ ასალებენ.

ვიცი კაცუნები, რომლებიც ლანძღავენ ზეცის კაცს. ისიც ვიცი, სარეველა ბალახი რას ეგყოლა მუხას ან კედარს. მეწყალვიან ისინი, რადგან არ ძალუძთ სიმაღლეთა წვდომა.

მეცოდება დამღრალი ნარეკალა, რომელსაც შურს, თელა რომ უძლებს წელიწადის დროთა ცვლას. მაგრამ ჩვენი სიბრაღული, თვით ანგელოზთა სიბრაღულიც რომ ზედ დაერთოს, ნათელს ვერ მიანიჭებს მათ.

მინახავს საფრთხობელა, მისი სამოსის ნაფლეთები აფრიალებს პურის ყანაში, თუმცა თვითონ უსიცოცხლოა, ვერც ყანას გრძნობს და ვერც მღერას ქარისას.

მინახავს ობობა, ფრთები არა აქვს და ქსელს ქსოვს ფრთიანთა ვასაბმელად. მინახავს კაცნი, ბუკის კვრასა და ღოლის ბრაგუნში გაწაფულნი. ხმაურით გაყრუებულებს არც გოროლას გალობა ესმით, არც აღმოსავლეთიდან შემოქროლილი სიოს ჩურჩული გვერში.

მინახავს კაცი, ღინების აღმა ნიხბვა რომ შეუძლია, მაგრამ წყაროს მიგება - არა: მდინარეში რომ დაეკრავს, მაგრამ მღვანეში გასვლას ვერ ბედავს.

მინახავს კაცი, გაუწაფავი თავისი ხელით შეშველებას რომ სთავაზობს გაძრის მშენებელს. და უარს რომ მიიღებს, თავისი გულის სიბნელე ათქმევინებს: „ღაჟანგრევე ყველაფერს, რაც აშენდება“.

ვიცი ეგ ყველაფერი. ეს ის ხალხია, რომელსაც არ მოსწონს ერთი დღეს რომ თქვა იესომ - „მშვილობა მომაქვს თქვენდა“ - და მერმე თქვა: „მახვილი მომაქვს“.

ვერ მიძვლარან, რომ სინამდვილეში მან თქვა: „მშვილობა მომაქვს კეთილთათვის და გამიშვებულ მახვილს ვღებ მშვილობის მომლოდინეთა და მახვილის მოსურნეთა შუა“.

უკვირთ, რომ მან, რომელმაც თქვა, - „მეუფება ჩემი არა ამის სოფლისაგანი არს“, აგრეთვე თქვა: „მივით კეისარსა კეისარის“, არ უწყიან, რომ თუ ნამდვილად სურთ თავისუფლად შევიდნენ მათთვის სასურველ სასუფეველში, არ უნდა ეურჩონ ბჭის მკველს, ქალაქში შესასვლელად ხალისით მართებით ვადახდა ქირისა.

ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც ამბობენ: „იესო ქადაგებდა ღმობიერებასა და სიკეთეს და სიყვარულს მშობლისას, მაგრამ არც გახსენებია ღელა თვისი და ძმები თვისი, როცა ისინი იერუსალიმის ქუჩებში დაეძებდნენ“.

მათ არ იციან, ღელა მისი და ძმანი მისნი ეგებ სიყვარულით გაფრთხილებოდნენ და ხითხუროს დამგასთან მისი დაბრუნება ეძებდნენ, როცა თავისი ნახელავი, აღმოსავლეთისაკენ გაჭრილი სარკმლებით ახალი დღის განთიადისკენ წარმართავდა ჩვენს მშერას.

ეგებ ღელას და ძმებს სდომებოდათ ეცოცხლა მას სიკვდილის ჩრდილში. ხოლო იესო სიკვდილს გაეჯობრა აგერ, იმ ბორცვზე, რათა მარად ეცოცხლა ჩვენს გაღვიძებულ ცნობიერებაში.

ვიცი, თხუნელები გზებს თხრიან, არსაით მიმავალ გზებს. განა ესენი არ ამგყუნებდნენ იესოს, თავს განადიდებდნენ, როცა მან მიმართა სიმრავლეს ერისას: „მე ვარ გზა და მე ვარ ბჭე ხსნისა“, - და ისიც თქვა, ცხოვრება და აღდგომა ვარო.

მაგრამ იესო არაფერს მიიწერდა. განა წელიწადის თვეთაგან მაისი ამაოდ იჩემებს წყალუხვობას? განა არ უნდა ეთქვა ნათელი და ცხალი სიმართლე მხოლოდ იმიგომ, რომ სიმართლე შექს ასხივებს?

მან ნამდვილად თქვა რომ იგია გზა და ცხოვრება და აღდგომა. და მე თავად ვემოწმები იესოს, რომ ჭეშმარიტებაა, რაც მან თქვა.

ნუთუ არ გაგონდებით მე, ნიკოლეოსი, კაცი, რომელსაც კანონისა და ღოგმის მეტი არაფერი მწამდა და განუწყვეტილ მოვიტოვდი მორჩილებას კანონისას?!


შემომხედეთ ახლა, ადამიანი ვარ, სიცოცხლით ვხარობ, მშვესთან ერთად ვიღიმი, როგორც კი ამონათდება და შესცინებს მწვერვალებს, ვიდრე მთებს იქით სარეველში ჩაესვენება.

ენა რაგომ გვბით სიყვება „ცხონების“ წარმოთქმისას? მე პირადად იესოს წყალობით მომენიჭა ცხონება, მომენიჭა ხსნა. აღარ მენადვლება ხვალის საზრუნავი, რამეთუ ვიცი, იესომ გამაღვიდა ღრმა ძილისაგან, ჩემი შორეული ოცნებები ჩემს შემწველ და მეგებურად მიქცია.

განა მე დაეკნინდი და პაგარა კაცი შევიქმენი, რაკი ვაღიარე კაცი უღიადესი? იესო, დიდი პოეგია გალიეველი. რომ დამელაპარაკა, მღუღენი ჩემი სხეულისა დაიხსნენ და დაიშალნენ. და მე აღმიგაცა სულმა და ავიბიდე მადლა, და ჩემმა ფრთებმა ზეცის სივრცეთაგან თავი მოუყარა, ზეცის სივრცეთაგან შემოკრიბა ვნების საგალობელი.

და როდესაც პაერის გალდით დაბლა დავეშვი, როცა სიონს დავებრუნდი და შემეკვეცა ფრთები, მაშინაც კი ჩემი გაძრცვნილ-გაბუკული ფრთები სათუთად ინახავდა და უფრთხილდებოდა იმ საგალობელს. წუთისოფლის ვერაერთარი განსაცდელი ვერ წარმგაცებს მას, საუნჯეს ჩემსას.

საკმაოდ ბევრი ვითხარით. დაე, ყრუმ თავის მკვდარ ყურებში დაასამაროს სიცოცხლის ქრიაშული. მე სიამეს მგერის ხმაინობა იესოს ქნარისა, რომელიც მას ხელთ ეპყრა ჯვარცმისას და რომელსაც უკრავდა ჯვარზე მიღუსმული სისხლჩამოდინარე ხელებით.



რადიშ თორდიას

საქართველოს სახალხო მხატვარი

დაიბადა 1936წ. 21 აგვისტოს, ქ. აბაშაში.

1956წ. დაამთავრა თბილისის ი. ნიკოლაძის სახ. სამხატვრო სასწავლებელი.

1962წ. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტი.



1962 წლიდან მონაწილეობდა რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო გამოფენებზე. მისი ნამუშევრები, სხვადასხვა დროს ექსპონირებული იყო საქართველოს, რუსეთის, ბალტიისპირეთის ქვეყნების, სირიის, ინდოეთის, იაპონიის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, იტალიის, იუგოსლავიის, საფრანგეთის, ესპანეთის, ჰოლანდიის, აშშ მუზეუმებსა და გალერეების საგამოფენო დარბაზებში.

პერსონალური გამოფენები

- 1980წ. - ტუნისი
- 1989წ. - მოსკოვი
- 1990წ. - თბილისი
- 1992წ. - კიოლნი
- 2000წ. - თბილისი
- 2002წ. - ნიუ-იორკი
- 2003წ. - ჰამბურგი

რადიშ თორდიას ნამუშევრები ინახება საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, სურათების ეროვნულ გალერეაში. მოსკოვის აღმოსავლეთის ხელოვნების მუზეუმში. მოსკოვის ტრეტიაკოვის გალერეაში, სანკტ-პეტერბურგის რუსულ მუზეუმში, კიოლნის ლუდვიგის სახ. მუზეუმში და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში.







ხანი 2003:

შახსნაბეჰი ჰონოჩაის სოცს ჩანის



არნოლდ შვარცნეგერი ახალი ფილმით ჩადის კანის საერთაშორისო კინოფესტივალზე, რათა სათავე დაუდოს სუპერპოპულარული ბლოკბასტერის სარეკლამო კამპანიას მთელ მსოფლიოში. „მსოფლიო – მხოლოდ ამერიკა არაა, - განაცხადა ინტერვიუში მსახიობმა „7 დღის“ კორესპონდენტთან. - ღა ვთვლი, რომ ლაქვარდოვანი სანაპირო საუკეთესო ადგილია ფილმის აღიარებისათვის. კინოფორუმის დროს აქ უამრავი ჟურნალისტი ჩამოდის სხვადასხვა ქვეყნიდან, კარგი პრესა კი ყოველთვის დიდი შემოსავლის წყაროა“. ხშირად ფილმის წარმატებისთვის გიგრებში სუპერვარსკვლავის სახელიც საკმარისია, მაგრამ მსახიობს მაინც ჩამოაქვს თავისი მეშვიდე ახალი ფილმი „გერმინაგორი 3: მანქანების აჯანყება“, რომლის აღსანიშნავად MTV – მ გამართა დისკოთეკა, სადაც მხოლოდ რჩეულები მოხვდნენ. სტუმრები მიაბრძანეს კანის შემოგარენში, სადაც



მღებარეობს ცნობილი დიზაინერის პიერ კარდენის მდიდრული ვილა – უმაღლესი არქიტექტურული ნამუშევარი, რომელიც მღვის სანაპიროზე ამოცოცებულ რვაფეხას მოგაგონებთ. შვარცნეგერის გვერდით იყვნენ წლევანდელი „ოსკაროსანი“ ედრიენ ბროუდი, ჰოლივუდის ვეგერანი ჰარვი კეიგელი, მიკ ჯაგერის ექს-მეუღლე ჯერი ჰოლი.

ფილმში მრავლადაა სულისშემძვრელი სპეცეფექტები. თვითონ მსახიობს მიაჩნია, რომ ეს სერია ყველაზე დიდებულია ამ გრილოგიაში.

– მართალია, რომ თქვენ არ ენდით კასკადორებს და სერიოზულად დაიზიანეთ ზურგი რთული გრიუკის შესრულებისას?

– მსახიობის შეცვლა არავის შეუძლია. ათი წლის წინ, როცა ალაპარაკდნენ, რომ კომპიუტერი ეკრანიდან გააძევენ ადამიანს, სიმართლე ვითხრათ, შევძრწუნდი. მაგრამ, მერე მივხვდი, ეს სრული აბსურდია. პუბლიკას უნდა მსახიობის ნახვა და არა კომპიუტერული ასლის. გაღაღებების დროს ცუდად დავეცი. ექიმებმა მითხრეს, რომ საჭიროა ხერხემლის ოპერაცია, მაგრამ არ შემძლო გადაღებები მიმეგოვებინა რამდენიმე თვით. ამიგომ მოთმინებით ვიგანდი გკივილებს გადაღებების დამთავრებამდე და მხოლოდ ამის შემდეგ დაეწევი საავადმყოფოში. ახლა კარგ ფიზიკურ ფორმაში ვარ.

რაც მართალია, მართალია. იგი არაჩვეულებრივად გამოიყურებოდა. საღ-



ამოს სმოკინგს აესებდა ექსკლუზიური კოვბოური ჩექმები ვერცხლის წვერითა და ქუსლებით.

– როგორ ფიქრობთ, შეძლებთ გაიმეოროთ თავბრუდამხვევი ფინანსური წარმატება, როგორც წინა ორი ფილმის დროს?

– მე ფულზე საერთოდ არ ვფიქრობ. როცა პროექტზე ვმუშაობ, მაშინ ყველაზე ბედნიერი ვარ, ყველა ოცნება რეალური ხდება. ჩეკს ჩემი მეუღლე მარია იღებს და თავისი შეხედულებისამებრ ხარჯავს.

ჩვენი საუბრის დროს მსახიობის პირადი დაცვა მოთმინებით იღვა მოშორებით. არ ცდილობდა ხელეზგაშლილი ჩამდგარიყო ჩვენს შორის და შევეწუხებინეთ ბედმეტი მოძრაობებით. აი, ეს არის მაღალი პროფესიონალიზმი, რაც ბევრად განასხვავებს მათ რუსი კოლეგებისაგან.

არანაკლები პომპეზურობით ჩაგარდა ფესტივალის მუდმივი პარტნიორისა და მთავარი პრიზის „ოქროს პალმის რგოს“ დამამზადებელი საიუველირო სახლის „შოპარის“ ყოველწლიური მიღება. სა-



დამოზე, სადაც იკრიბება ფრიალ შთამბეჭდავი პუბლიკა – ტრადიციულად პრიზები გადასცეს ახალგაზრდა იმედისმომცემ მსახიობებს. წელს დაჯილდოვდნენ დაიან კრიუგერი /„ჩემი იდოლი“/, და გაელ გარსია ბერნალი /„ძუკნა სიყვარული“/. ცერემონიას უძღვებოდა იმაბელ აჯანი, რომლის ყელსაც ამშვენებდა მაღალ საიუველირო დონებზე შესრულებული ბრილიანტის კოლიე „ქუალერი“-სგან.


მდიდრული სადილი ბევრმა საპაგიო სტუმარმა დაიგემოვნა: საიუველირო სახლის სამშვენისებით იწონებდა თავს ელიზაბეტ ჰერლი საქმროსთან ერთად, კვენტინ გარანტინოს ფილმების ვარსკვლავი მაიკლ მედსენი მეუღლესთან ერთად, ჯულიეტ ლუსი თავის დროზე რომ გაიბრწყინა ფილმში „მკვლელებად დაბადებულნი“. სადილობისას მათ ართობდა ილუზიონისტი, რომელიც თავისი ხელოვნების დემონსტრირებას მათ თვალწინ ახდენდა.

მაგრამ ასეთი შეხვედრების ბრწყინვალეობა დაიშრიტა იმ ვნების წინაშე, რომელიც ჩვენებებზე ბობოქრობდა. ცოცხალი ადრე, სანამ დანიელი რეჟისორის ლარს ფონ ტრიერის ახალი ქმნილების „დოგვილის“ ჩვენება დაიწყებოდა, დარბაზში ქურნალისტების ტევა აღარ იყო. დაუწერელი ეთიკით ასეთ დროს მობილური ტელეფონები გამორთული უნდა იყოს. მაგრამ ყოველთვის ასე როდი ხდება. ერთმა იგალიელმა ქურნალისგმა შეგყობინების კითხვა პირდაპირ ჩაბნელებულ დარბაზში დაიწყო. ტელეფონის განათებულმა მონიტორმა ისე გამოიყვანა წონასწორობიდან გვერდით მჯდომი სერბიელი კინოკრიტიკოსი,

რომ ტელეფონი გამოგლიჯა და კედელს შეახეთქა. სიგუაცია დაიძაბა, მაგრამ მიუხედავად ამისა მათ ერთმანეთის გვერდით ჯდომა მოუხდათ ჩვენების დამთავრებამდე. რას არ მოითმენ, რომ მაღალ კულტურას ეზიარო!

სხვათაშორის, კინობაზრობაზე ფილმის „დოგვილი“ საწყისი





ფასი ოთხი მილიონი დოლარი იყო. თუ გავითვალისწინებთ, რომ ფილმი გადაღებულია ერთ ლეკორაციაში, მაშინ გასაგებია, რომ ნაკლებბიუჯეტის პროექტს შემოსავლის მრავალჯერ ანამზაურების შანსი აქვს. ამბობენ, რომ მთავარი როლის შემსრულებელმა ნიკოლ კიდმანმა, ფილმში უფასოდ მიიღო მონაწილეობა. ეს უმაღლეს დამსახურებად ითვლება ჰოლივუდის მსახიობისთვის, რომლის ჰონორარი 7,5 მილიონ დოლარს უტოლდება.

მან შეზღუდა ურთიერთობა გლევი-მიასთან, სამაგიეროდ უამრავი ინტერვიუ მისცა პრესას. აი, ფრანგმა მსახ-

იობმა ემანუელ ბერმა მთლად დაივიწყა ყველა და ყველაფერი და ისე გაემგზავრა კანიდან არავისთვის არაფერი უთქვამს. საქმე იმაშია, რომ ფესტივალის წინა დღეს ერთ-ერთმა ქალთა ჟურნალმა გამოაქვეყნა ფოტო, სადაც ის ევას კოსტუმით იწონებს თავს. „მე ახლა მხოლოდ ამაზე დამიწყებენ ლაპარაკს“ - გადაწყვიტა მან და შეეცა: ბევრ უცხოელ ჟურნალისტს წარმოადგინა კი არ ჰქონდა ამ ფაქტის შესახებ და მხოლოდ გასაუბრება უნდოდათ მისი ახალი ნამუშევრის, ფრანგული კინოს მეგრის ანდრე გეშინეს ფილმის „დაკარგულების“ შესახებ.

რუსი საქმოსნებიც არანაკლებ ყურადღებას იქცევდნენ. მათ იახგამე მოაწყვეს რუსული საღამო. ღონისძიების ორგანიზატორი და მასპინძელი ანასტასია ვოლოჩკოვა გახლდათ.

ნებისმიერი კინოფესტივალი ცნობილია თავისი შედეგებით, 56-ე ფესტივალი კი კინოს ისტორიაში შევა, როგორც კინოფორუმი, სადაც ქიურიმ გამოიგანა აბსოლუტურად მოულოდნელი გადაწყვეტილება, როდესაც „ოქროს პალმის რგო“ მიანიჭა ფილმს, რომელიც ერთხმად უარყვეს როგორც კინოკრიტიკოსებმა, ისე მაყურებელმა. ამერიკელი გას ვან სენგის /თავის დროზე მან აღმოაჩინა ნიკოლ კიდმანის გალანგი ფილმში „მოკვდე რაღაცისათვის“, „სპილო“ მოგვითხრობს ერთ-ერთი ამერიკული კოლეჯის ცხოვრების ერთი გრაგიკული დღის შესახებ, როცა ორმა მოზარდმა მეთოდურად დახოცა მოსწავლე-მასწავლებლები. ფილმს საფუძვლად უდევს დოკუმენტური ისტორია. არავინ შეგებრალება: არც მსხვერპლი, არც მკვლელები, რომლებიც შთაგონებულნი არიან ნიცშეს ზეადამიანური იდეებით. ყმაწვილებს აერთიანებთ სასიყვარულო ურთიერთობა, მაგრამ ერთი მაინც კლავს მეორეს...

ქიურიმ არ დააფასა არც ღარს ფონ გიერის თამამი ექსპერიმენტი „ლოგვილში“, არც ფრანსუა ომონის „აუმი“-ს არაჩვეულებრივი მსახიობური დუეტი შარლოტა რემპლინგი და ლუდვიგ სანიე, არც შონ პენი კლინტ ისტვუდის „იდუმალ მდინარე“-ში. ალექსანდრე საკუროვი – რეჟისორი ფილმისა – „მამა და შვილი“ – სამშობლოში კინოპრესის საერთაშორისო ფედერაციის პრიზით დაბრუნდა, თუმცა პროცნომის მიხედვით ჰქონდა შანსი, მიეღო რაიმე უფრო მნიშვნელოვანი.



სექტემბერ-ოქტომბერი 2003 წელი
საზოგადოებრივი-კულტიკური
და სალიტერატურო სამსახვრო
ქურნალი

ქ ა რ თ უ ლ ი
ქ ა რ თ უ ლ ი

შემოქმედაბითი პროექტის
ხელმძღვანელი
ჯანსუღ ჩარკვიანი

გამომცემელი
თამარ ჩარკვიანი
მხატვარ-დიზაინერი
ნანა ბერასიმოვა
კომპიუტერული უზრუნველყოფა
ირაკლი ბაღთაძე
კორექტორი
ცისანა სიჭინავა
ტექნიკური რედაქტორი
იამზა შარქაძე

სარედაქციო საბჭო:

ვასუხისგებელი მდივანი
გულნარა ბახტაძე,

- ვასილ გვეტაძე,
- ციალა არდაშელია,
- ნუნუ კუპრაიშვილი,
- დავით სალარიძე,
- ზურაბ კვანტრიშვილი,
- თედო ნინია,
- ელდარ შენგელაია,
- ზურაბ წერეთელი,
- თამაზ ჭილაძე.

ქურნალი აიწყო, დაკაბდუნდა და
დაიბეჭდა შ.პ.ს. „საარში“
მისამართი: თეზდორა მღვდლის 57

0.217/1.

